1877—1905

№ 90

ხუთშაბათი, 2 ივნისი

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 922

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

...ტაიმს“-ს
...აენ: ყვ...
...ქმის ? წელი-
...ის ...მი 5 მან.
...ნაარაკება შეი-
...უქმეებს გარდა,
...საათამდე.
...რედაქციის
...და იაპ...
...ნოს; წვრილ
...მელნ... ინახავს,
...ის (რ.) ...ება ერთის
...საიდუმლ...
...ლიც ტო. „Иверія“.
...ტაგ.“
...მას ...ი 3 კაპ.

...ალლობა
...ებით
...ი. იაპონ...
...ისაქმ...
...საყე...
...ლებს
...მაგრამ
...უსები

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

...ის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

...ს არა ერთი: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრის-...უფრო-იერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.
...იქნებ... პრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები და ილლუსტრაციები.**
... უმაგა... იანვრიდან წლის დამლევამდის 5 მ., 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილა-...
...ოდო კინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამო-...
...მხნე ასად.
...ებს **ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**
...ა. იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.
...სული ...რესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

...ც ხმელ კონსტანტინეს ძე ერისთავი, ბარბარე კონსტანტინეს ასული ტატიშჩევისა,
...ა კონსტანტინეს ასული ჩიჯავაძისა და თამარა კონსტანტინეს ასული ლონგო
...უწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის დედის

...ფიო ალექსანდრეს ასულის ერისთავისა.

...ენო ...ი ყოველ-დღე, საღამოს 8 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამო-...
...წერდ. ძველ-ბებუთოვის (Старобебутовская) ქუჩა, № 22. (1—1)

ივნისის 12-ს „ბელ-ვიუს“ ბაღში გაიმართება
...ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

...ეირნობა და ბაზარი

...„რუ... შეწირულება ბაზრისათვის „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-...როს [illegible]).

...ახალი წიგნი

...იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში,
...ოვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

...ემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
...ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილლუსტრაცია.
ფასი 30 კაპ. (30—3)

...ული კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(...ჯიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
...ენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

...**იქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის ...ისა და ნერვების ავადმყოფობისა.

...**პეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვე-...ქირურგიულ ავადმყოფობისა.

...**ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ—ქალის და ...თა ავადმყოფობანი.

...**ი. გძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა ...ცხვირის სატკივრისა.

...**ა. თარხანოვი**—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავ-...ბისა.

...**ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ...ბის ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათო-...შაბათობით.

...ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა ...ებით ავადმყოფობისა.

საღამოობით:

...**არდაზიანი.**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ...სკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

...**ს. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ...ებს მასსაჟს ...მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

...ისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურის და ცხვირის ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 სათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

სასკოლო რეფორმა

აღზრდის სისტემა ორ მხარეს შეიცავს: სასწავლო მასალას და სასკოლო ორგანიზაციას.

რა ძირითადი მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს სასწავლო მასალამ?

ყოველ აღზრდის მიზანი უნდა იყოს აღზრდა მთლიანი, აღზრდა-შემუშავება მტკიცე ხასიათისა. აღზრდის საქმეში უაღრესი მნიშვნელობა ცოდნის რაოდენობას კი არ ეკუთვნის, არამედ ცოდნის ღირსებას. ეს ცოდნა ისე უნდა იყოს დალაგებული,—ისეთ სისტემის ძაფზე ასხმული, რომ ადამიანის გონებას მისცეს სრული, მტიცე განვითარება.

ამ მხრივ დღევანდელი რუსული სკოლა ყოვლად ღატაკია. დღევანდელ ჩვენს სკოლებში სხვადასხვა საგნები ერთ შეთანხმებულ სისტემას კი არ წარმოადგენს—პირიქით, საგნები ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად ისწავლება. ერთ საგანს ერთი ტენდენცია აქვს, მეორეს—მეორე; ერთის პრინციპია მეცნიერება, მეორისა—მეცნიერებასთან ბრძოლა; ერთი ანვითარებს კაცობრიულ სოლიდარობას, მეორე ტყუილ ფაქტებით აღვივებს შოვინიზმს და ებრძვის ამ სოლიდარობას; ერთი მოქალაქობრივ მოვალეობის შეგნების განვითარებას ცდილობს, მეორე მოქმედობს ყოველ მოქალაქობრივ მოვალეობის წინააღმდეგ და მხოლოდ მორჩილებას, მონობას ქადაგებს. ამნაირად, ერთი საგანი თავის მიმართულებით არღვევს იმას, რასაც ემსახურება მეორე. და ყველაფერი ეს ხდება მოზარდ თაობის თავში. მოზარდი თაობა გადაქცეულია საბრძოლველ ასპარეზად, წინააღმდეგობათა საჭიდაო მოედნად. ამის შედეგი კი არის მოზარდ თაობის სრული არარაობა, უპრინციპობა და მასთან უმეცრებაც.

ცხადია, ასეთი სისტემა არამც თუ ცოდნას ვერ მისცემს მოზარდ თაობას, არამედ ცოდნის შეძენის ინტერესსაც ვერ გაუღვიძებს, ვერ შეჰქმნის მასში შეუჩერებელ მისწრაფებას გონებრივ განვითარებისადმი.

ამიტომ პირველი ძირითადი პირობაა: სასწავლო საგნები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ისინი ერთ მთლიან სისტემას შეადგენდნენ და მათში სრული თანხმობა იყოს დაცული.

რა პრინციპზე უნდა აშენდეს ეს თანხმობა?

განვითარებამ კაცობრიობა დღეს იმ წერტილამდე მიიყვანა, რომ მონობა აუტანელია. ახლო საზოგადოებას ესაჭიროება არა კაცი მორჩილი, მუდამ ქედ-მოხრილი, სხვის თვალში მაცქერალი, არამედ კაცი დამოუკიდებელი, თავმოყვარე, თავისუფლების მოტრფიალე, — ერთის სიტყვით, ნამდვილი მოქალაქე, როგორც ეს ესმის დღეს ყოველ განვითარებულ ევროპიელს. რაც ანვითარებს მონობას, აუძლურებს ადამიანის ხასიათს, ჰკლავს დამოუკიდებლობას,—ის საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგია, საზოგადოების მერმისის დამღუპველია. ვინც მონაა, სულით დამონებას ემორჩილება, ის საზოგადოების დამაბრკოლებელი ბარგია, საზოგადოების მტერია. ამიტომაც სკოლა თავიდანვე უნდა ანვითარებდეს მოწაფეში იმ მოქალაქეობრივ თავისუფლებისადმი მისწრაფებას, რომელიც აუცილებელ საჭიროებას, აუცილებელ საფუძველს შეადგენს ყოველ საზოგადოებისათვის.

აქედან ცხადია,—სასწავლო საგნებიდან უნდა გამოირიცხოს ყველაფერი, რაც მოქალაქობრივ თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული. და სწორედ ამ თავისუფლებას ეწინააღმდეგება ყველაფერი ის, რაც ყალბია, რაც არა-მეცნიერულია. მეცნიერება თავის მიდრეკილებით მონობის მტერია. იქ, სადაც მონობაა, მეცნიერება ფეხს ვერ იკიდებს. მეცნიერება და თავისუფლება ტყუპი ძმები არიან. ისინი წარმოიშვენ ერთის საზოგადოებრივ პროცესისაგან და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთად მოქმედებენ. როცა ხალხში გამეფებულია მონობა, მეცნიერებასაც გზა დახშული აქვს; ხოლო როცა მეცნიერება გზას გაიკაფავს, თავისუფლებაც აღორძინდება. ამიტომ ერთად-ერთი საფუძველი საღის განვითარებისა არის მეცნიერება; მხოლოდ ის სწავლებაა საღი და განმავითარებელი, რომელიც მეცნიერულია.

დღევანდელი სასკოლო სისტემა ისეთ საფუძველზეა აგებული, რომ იგი უკარგავს მეცნიერულ ხასიათს ყოველ სასწავლო საგანს. აიღეთ, მაგალითად, ბუნების-მეტყველება. მეცნიერულ საგნებში თავის სიმტკიცითა და ძირითად კანონების გამორკვეულობით ბუნებისმეტყველება პირველობს. მაგრამ სკოლებში ეს საგანიც ისე ისწავლება, რომ მას ყოველი მეცნიერული ხასიათი ეკარგება. მთელი საბუნებისმეტყველო კურსი წარმოადგენს მხოლოდ ცნობების კრებულს. საზოგადო კანონები კი, რომელიც შეადგენს უძვირფასეს განმავითარებელ მასალას, სასწავლო საგნიდან გამორიცხულია. ამნაირად, საგანს სული მოაშორეს და მარტო ჩონჩხი, განცალკევებული ფაქტები დატოვეს. ამით საგანს წაერთვა ის განმავითარებელი გავლენა, რომელიც მას უცილობლად აქვს. ეს კი მეცნიერების აბუჩად აგდებაა, მისი გათახსირება.

სასკოლო პროგრამის შემცვლელთ ეს გარემოება უსათუოდ უნდა ჰქონდეთ მხედველობაში. საჭიროა არა მარტო მოშორება ყოველ არა-მეცნიერულ, ყალბ ცოდნისა,—საჭიროა თვით მეცნიერულ საგნებს სწავლებაში ნამდვილი მეცნიერული ხასიათი მიეცეს.

ბევრს, შეიძლება, ეს ეუცხოვოს, შეიძლება, ზოგმა იფიქროს: როგორ უნდა მოხერხდეს, რომ პაწაწა ბავშვებსაც მეცნიერული ცოდნა მივაწოდოთო. ეს კითხვა პედაგოგიურია. ეს პედაგოგის საქმეა,—ცოდნა თანდათანობის კიბეზე დაალაგოს, ჯერ მარტივი ასწავლოს და მერე სასწავლო მასალა თანდათან, მოწაფის გონებრივ განვითარების მიხედვით, გაართულოს. საქმე ისაა, ბავშვს არ ვასწავლოთ, არ ჩავუნერგოთ ისეთი რამ, რაც დიდობაში უნდა დავავიწყოთ, უნდა ამოვფხვრათ მის გონებიდან. სიმტკიცე პროგრამაში, ერთიანობა სწავლებაში გამოიწვევს სიმტკიცეს აღზრდაში და შეძლებას მოგვცემს შევქმნათ მტკიცე და დამოუკიდებელი ხასიათი.

გავიხსენოთ ძველის საბერძნეთის ცხოვრება. საბერძნეთში აღზრდას შესანიშნავი გავლენა ჰქონდა. ბერძენთა მოქალაქობრივი აღზრდა მართლა ჰქმნიდა მტკიცე, შეუდრეკელ ხასიათს და მასთანვე ამტკიცებდა მოზარდ თაობაში მოქალაქობრივ გრძნობას. რატომ? იმიტომ, რომ საბერძნეთში აღზრდა შეფარდებული იყო, როგორ, მაშინდელ მეცნიერულ განვითარებასთან, ისე მთელ წყობილებასთან. სკოლა არ ებრძოდა იმას, რასაც უნერგავდა ოჯახი; სკოლა არა ფხვრიდა და სპობდა იმას, რასაც ითხოვდა საზოგადოება. პირიქით, სკოლა ჰარმონიულად შეთანხმებული იყო მთელ საზოგადოებრივ წესწყობილებასთან. ამიტომაც მას დიდი გავლენა ჰქონდა ცხოვრებაზე და რეალური სარგებლობაც მოჰქონდა საზოგადოებისათვის.

ბერძნების მაგალითი ჩვენთვისაც საგულისხმიეროა. უნდა მოისპოს სკოლასა და ცხოვრებას შორის წინააღმდეგობა. ამისათვის საჭიროა სკოლა შეეთანხმოს საკაცობრიო განვითარების პროცესს. საზოგადოებრივის მხრივ ის უნდა ზრდიდეს ადამიანში სოლიდარობის გრძნობას, მოქალაქობრივ დამოუკიდებლობის მოთხოვნილებას და იმავე დროს მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე უნდა ამყარებდეს ამ აღზრდას.

ქართულ თეატრის წარსული სეზონი

ჩვენ შემთხვევა გვქონდა გადავვეთვალიერებინა „ქართულ დრამის ამხანაგობის“ ანგარიში წარსულის სეზონის შესახებ და უნდა აღვნიშნოთ, რომ შიგადაშიგ ბევრი საგულისხმიერო რამ ამოვიკითხეთ.

ქართული თეატრის სეზონის საქმეებს შარშან, როგორც მკითხველებმა იციან, დრამატიულ საზოგადოების მაგიერ, აწარმოებდა, ეგრედ წოდებული, „ქართულ დრამის ამხანაგობა“, რომელიც შარშან აგვისტოს დამდეგში შესდგა კერძო პირთაგან და რომელმაც დრამ. საზოგადოების გამგეობის ნება-რთვითა და დასტურით თავს იდვა წარსულ სეზონში წარმოდგენების მართვა, რადგან თვითონ დრამატიულ საზოგადოებას, წინა წლებში დიდად დაზარალებულს, არავითარი სალსარი არ მოეპოვებოდა სეზონის გაძღოლისათვის.

ამხანაგობას საფუძვლად ჰქონია ამხანაგური პირობა,—რომლის ძალითაც წევრებს საამხანაგო კასაში ხუთ-ხუთი თუმანი უნდა შემოეტანათ, საწარმოებელ თანხის შესადგენად,—და აგრეთვე დრამატიულ საზოგადოების-მიერ აღთქმული სუბსიდია. ანგარიშიდან არა სჩანს, თუ ვინ იყვნენ ამხანაგობის წევრნი, ხოლო მოხსენებაში მწუხარებით და გულისტკივილით აღნიშნულია, რომ საწევრო ფულიდან მხოლოდ მესამედი-ღა—583 მან. შემოვიდა და ისიც ნაწილ-ნაწილადაო.

რადგან სათავად-აზნაურო თეატრი ადგილობრივ საპოლიციო ადმინისტრაციამ წარმოდგენების დაწყების წინა დღეებში დაჰკეტა შენობის სიძველისა გამო, ამიტომ ამხანაგობა იძულებული გახდა სახაზინო თეატრის ანტრეპრენერს ბ-ნ დონსკოის მორიგებოდა და თითო წარმოდგენისათვის 275 მან. ეძლია.

ადვილი მისახვედრია, რომ ასეთის დიდი ქირის გამო „ამხანაგობას“ საგრძნობელი ზარალი უნდა მოსვლოდა. ქართულ წარმოდგენებიდან ამ უკანასკნელ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში საშუალო რიცხვით 450 მან. მეტი არ შემოსულა და, თუ თეატრის გამგეობა შემოსავლიდან ორ მესამედზე მეტს თეატრის ქირად გაიღებდა, დასი რითი-ღა უნდა შეენახა?..

სახაზინო თეატრის გარდა, ამხანაგობა წარმოდგენებს მართავდა ვეტცელის თეატრში და ტფილისის საკრებულოში (კლუბში), მაგრამ ამ უკანასკნელში, მიუხედავად იმისა, რომ სომხური სცენის მოყვარენი ყოველ კვირაობით თამაშობდნენ და თვითონ კლუბი აძლევდა სცენის მოყვარეთ ათ-ათ თუმანს ყოველ წარმოდგენაზე,—კლუბის ადმინისტრაციამ ისეთ პირობებში ჩააყენა ქართული წარმოდგენები, რომ ქართულმა დრამამ ფეხი ვერ მოიკიდა... ამხანაგობა ასეთ საქციელში სამართლიანად ხედავს კლუბის მამასახლისების ცალმხრივობას...

ვერც იაფ-ფასიან წარმოდგენებმა გაამართლა ამხანაგობის მოლოდინი ვეტცელის თეატრში, რადგან შემოსავალი, თურმე, ძლივძლივობით ჰფარავდა ხარჯს. სულ ოთხ წარმოდგენიდან შემოსულა 322 მ. 63 კაპ., ორთა-შუა რიცხვად, თითო წარმოდგენიდან—80 მ. 65 კ., ხოლო ხარჯი თითოეულ წარმოდგენაზე ზოგჯერ რვა თუმანზედაც მეტი ყოფილა.

სახაზინო თეატრში ამხანაგობას განზრახული ჰქონდა 20 წარმოდგენა, მაგრამ ოცის მაგიერ გაუმართავს მხოლოდ 17, რადგან იანვრის გაფიცვებისა და არეულობის გამო ტფილისში დონსკოის თავისი საოპერო წარმოდგენები შეუყენებია, რის გამო არც ქართული წარმოდგენები გამართულა 13 იანვრიდან 4 თებერვლამდე და დასი მთელი თვე მოცდენილი ყოფილა.

ჩვენ ვერ გაგვიგია, რად შეაყენა ამხანაგობამ იმ ხანებში თავისი წარმოდგენები, რადგან სწორედ ამ დროს მეიერხოლდის დასი არტისტიულ საზოგადოების თეატრში სისტემატიურად მართავდა წარმოდგენებს და ხალხიც ბლომად ესწრებოდა. ამას გარდა, როგორც მაშინ ლაპარაკობდნენ, ბ-ნი დონსკოი, თურმე, სუბსიდიას ღებულობდა სახაზინო თეატრის დირექციისაგან, ვითომდა „იძულებით შეჩერებულ წარმოდგენების“ ასანაზღაურებლად, ხოლო ქართული დრამა ამავე დროს სდუმდა და ზარალობდა...

ამისთანა შემთხვევაში ამხანაგობას მეტი სიბეჯითე და ფხა რომ გამოეჩინა, არც იმ ზარალს ნახავდა, რომელიც ეხლა ანგარიშშია მოხსენებული, და არც მსახიობთა მცირე ჯამაგირების განსხვავებაც დასჭირდებოდა.

ამხანაგობის მოხსენებიდანა სჩანს, რომ მას, უსაღრობისა გამო, შუა სეზონში მეტად მწვავე ხანა გამოუვლია და კინაღამ იძულებული გამხდარა წარმოდგენების მართვა შეეწყვიტა, მაგრამ, საბედნიეროდ, თვითონ მსახიობთ გამოუჩენიათ მოქალაქობრივი უნარი: პირად სარგებლობაზე ხელის-აღებით, ჯამაგირების შემცირებითა და სხვა შეღავათიანის პირობების მიცემით ამხანაგობა დაუჯერებიათ საქმის გაგრძელებაზე...

მართლაც, მსახიობთა ჯამაგირები თითქმის ნახევარზე შემცირებულა იანვრიდან და, ამას გარდა, ზოგი კიდევ თვიურ მსახიობთა ჯგუფიდან გასულა და ამხანაგობისათვის აღუთქვამს დროგამოშვებით თამაშობა, საჭიროების გვარად.

სეზონის განმავლობაში სახაზინო თეატრში გაუმართავთ 17 წარმოდგენა, ვეტცელის თეატრში—4 და კლუბში—2, სულ 23 წარმოდგენა. ამ წარმოდგენათა შორის 8 საბენეფისო ყოფილა, 9 სააბონემენტო (ზოგი აბონემენტი ბენეფისებზე გადასულა), ერთი საიუბილეო წარმოდგენა, ქართულ თეატრის დამფუძნებელის გიორგი ერისთავის გარდაცვალებიდან 40 წლის შესრულების აღსანიშნავად, ორიც საქველმოქმედო წარმოდგენა.

ზემო-აღნიშნულ 23 წარმოდგენაზე დადგმულა სულ 30 პიესა, მათ შორის ახალი პიესები შეადგენდნენ 35%-ს. წარმოდგენილ პიესებს შორის, დრამა და ტრაგედია ყოფილა 14, კომედიები 11 და სცენები და ვოდევილები—6.

მოხსენება და ანგარიში ამხანაგობისა არ აღნიშნავს, თუ სეზონში რომელმა წარმოდგენამ უნაკლოდ ან სუსტად ჩაიარა. ჩვენ ეგ ანგარიშის ნაკლად მიგვაჩნია, რადგან ანგარიში სრულს და უტყუარ სურათს უნდა წარმოადგენდეს გამგეობისა და მსახიობთა შრომისა და მოქმედებისას.

საზოგადოდ შარშანდელ სეზონში ჩვეულებრივი სენი ქართველ მსახიობთა, როლების უცოდინარობა, ისე არ იყო გამეფებული, როგორც წინა წლებში. იქნება, ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ კვირაში მხოლოდ თითო წარმოდგენა იმართებოდა.

რაც შეეხება წარსულ სეზონის შემოსავალს, იგი მართლა და მოულოდნელად დიდიც იყო და საგულისხმიეროც დამსწრეთა რაოდენობით.

სახაზინო თეატრში 17 წარმოდგენიდან სულ შემოსულა 10,657 მან., რაიც პირველ შემთხვევად უნდა აღვიაროთ ქართულ თეატრის ცხოვრებაში. კერძოდ კი საბენეფისო წარმოდგენებიდან ორთა-შუა რიცხვით შემოსულა თითოდან 766 მ.

ასეთ შემოსავლის მთავარ მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ წარმოდგენები, შედარებით წინა წლებთან, მეტად ნაკლები იყო. უკანასკნელ ორ-სამ წელიწადს სეზონში 40—50 წარმოდგენა იმართებოდა, მაშინ კი გაიმართა— თუ ვეტცელისა და კლუბის წარმოდგენები არ ვიანგარიშეთ—17 წარმოდგენა და, რა თქმა უნდა, ორთა-შუა რიცხვი შემოსავლისა, შედარებით, აიწევდა. მაგრამ მარტო ეგ მაინც როდია მიზეზი შემოსავლის გამრავლებისა.

საქმე ის არის, რომ შარშან საზოგადოებას შემთხვევა მიეცა ევლო მშვენიერად მოწყობილ თეატრში. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ სათავად-აზნაურო თეატრი ბოლოს დროს მეტად დაძველდა და ნამდვილ „ბალაგანს“ მოგვაგონებდა თავის უსუფთაობითა და მოუწყობლობით, დეკორაციებისა თუ სხვა წვრილმან ექსესუარების უქონლობით...

მეტად საინტერესოა აგრეთვე დამსწრეთა სტატისტიკა. 17 წარმოდგენას სულ დასწრებია 13,427 მაყურებელი, მათ შორის, ლოჟებსა, პარტერსა და საზოგადოდ მანათზე უფრო ძვირფასს ადგილებზე ყოფილა 4931 მაყურებელი, ხოლო მანათზე ნაკლებ ადგილებზე 3257 მაყურებელი და, ამათ გარდა, კიდევ 1320 მოწაფენი, ხოლო გალერეაზე ყოფილა 3836 მაყურებელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დამსწრეთა შორის გალერეას, შედარებით წინა წლებთან, შარშან ნაკლები მაყურებელი ჰყოლია, მაშინ, როდესაც დამსწრეთა რიცხვი ლოჟებსა, პარტერსა და ბალკონებზე ძალზე სჭარბობს წინა წლების რაოდენობას.

ეს გარემოებაც, ჩვენის აზრით, მხოლოდ თეატრის სიკარგით აიხსნება. დამსწრე საზოგადოებასაც გული გაუტყდა სათავად-აზნაურო თეატრის მოუწყობლობით: ზამთრის გამუდმებულ მძაფრ სიცივეს და აუცილებელ გაციებას ხალხი ძალაუნებურად გაურბოდა და ნამეტნავად კი ერიდებოდა ჰუქსა და დაკანონებულ უწესრიგობას ქართულ თეატრისას.

წინა წლებში, როგორც ანგარიშიდანა სჩანს, თითოეულ მაყურებელს გალერეისას ყოველი წარმოდგენა საშუალო რიცხვით უჯდებოდა 20—21 კაპეიკი, შარშან კი გალერეის მაყურებელს ყოველი წარმოდგენა დასჯდომია 30 კაპ., ხოლო პარტერის დამსწრეს თითო წარმოდგენა საშუალო რიცხვით დაჯდომია 81½ კაპ. მაგრამ, მი-

უხედავად ასეთის შედარებითის სიძვირისა, შარშანდელ სეზონში მანათზე უფრო ძვირფასს ადგილების დამსწრეთა რაოდენობა საერთო ჯამის ერთ მესამედზე მეტს შეადგენს. ეს მაგალითიც ნათლად მოწმობს, რომ „ფულიანი ხალხი“ მეტის ხალისით დადიოდა სახაზინო თეატრში, რადგან ბევრად უკეთესად და თავისუფლად გრძნობდა თავის თავს, ვიდრე სათავად-აზნაურო თეატრში.

მეტად საინტერესოა აგრეთვე ცნობა, თუ რომელ წარმოდგენას რამდენი მაყურებელი დაესწრო და რამდენი შემოსავალიც იყო.

საბენეფისო წარმოდგენებზე ყველაზე მეტი ხალხი დასწრებია და თან მეტი შემოსავალიც ყოფილა შემდეგ მსახიობთა ბენეფისებზე:

ვ. მესხიშვილის	—1170 მაყ.,	1,012 მ. 80 კ. შემ.
კ. მესხის	—1138 —	990 მ. 34 კ. —
ნ. ჩხეიძის	—1087 —	955 მ. 99 კ. —
ტასო აბაშიძის	— 833 —	630 მ. 70 კ. —
ვ. აბაშიძის	— 785 —	797 მ. 30 კ. —
ნ. გაბუნ.-ცაგ.	— 741 —	635 მ. 14 კ. —

სააბონემენტო წარმოდგენებში ყველაზე მეტი ხალხი დასწრებია და შემოსავალიც მეტი ყოფილა შემდეგ პიესებზე:

„ლალატი“	1044 მაყ.,	862 მ. 90 კ. შემ.
„ახალი მოძღვრება“	911 —	670 მ. 21 კ. —
„ყაჩაღები“	816 —	585 მ. 92 კ. —
„ორი ჯიბგირი“	712 —	538 მ. 10 კ. —

ყველაზე ნაკლებად დასწრებია ხალხი და შემოსავალიც შედარებით მცირე ყოფილა:

„ფულსა დ̃ ხარისხზე“	427 მაყ.,	342 მ. 35 კ. შემ.
„ხალხის მტერზე“	555 —	299 მ. 43 კ. —
„საქმის კაცზე“	515 —	390 მ. 06 კ. —

ანგარიშის ბოლოში ამხანაგობა, შეეხება რა ქართველ მსახიობთა ხელმოკლეობას და უმწეობას, რაც წარმოსდგება ჩვენის თეატრის უსალსრობისა გამო, სამართლიანად ამბობს, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია ჩვენი თეატრი და ხელოვნება განვითარდესო და სასურველად განახლდესო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ამხანაგობის აზრს, რომ უსალსრობა დიალაც დიდი დამაბრკოლებელი და ხელშემშლელი გარემოებაა ჩვენი თეატრის დაწინაურების გზაზე და ამ მხრივ ყველასათვის ცხადია ქართველ მსახიობის აწინდელი ფრიად გაჭირვებული ყოფა-ცხოვრება.

ოცი, ოცდაათი წლის გამუდმებულის შრომა-მეცადინეობის შემდეგ ქართველი მსახიობი იმდენადაც კი არ არის უზრუნველყოფილი, რომ წელიწადი—თორმეტი თვე ბინასა და სადილს არ ნატრობდეს!..

რა თქმა უნდა, ახალი ელემენტი—შეგნებული, ნიჭიერი და მომზადებული ახალგაზდობა ახლოც არ გაუვლის თეატრს... და, მართლაც, ვინ არის ისე თავზე ხელაღებული, მეტადრე ეხლა, როცა შრომას და მშრომელს დღითიდღე ფასი ედება, რომ ადამიანი „გამსახიობდეს“ და წლითი წლობამდე ნახევრად მშიერ-მწყურვალი იყოს, ოთხი ხუთი თვე „თბილი საჭმელით“ ნებივრობდეს და მერე შვიდი-რვა თვე მაწანწალასავით ქუჩა-ქუჩა დახეტიალობდეს და კუჭ-ამომწვარ ქოფაკსავით სადილ-ვახშმებზე „ნადირობდეს“!..

ოღონდაც დროა ჩვენმა საზოგადოებამ ქართველ მსახიობთა ბედ-იღბალზე იფიქროს და რამე იზრუნოს, თორემ მერე გვიან-ღა იქნება, რადგან, ვინც არიან, უკვე სცენას შეაბერდნენ და ახლები არსად სჩანან და ასეთ პირობებში არც გამოჩნდებიან...

დასასრულ, არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ „ქართული დრამის ამხანაგობის“ კეთილსინიდისიერი და უანგარო მუშაობა წარსულ სეზონში. აშკარაა ყველა წევრი გამგეობისა კერძოდ და ყველანი საერთოდ ბევრს ჯაფას გასწევდნენ და მასთან ბევრ უსიამოვნებასაც იწვნევდნენ ზოგ მსახიობთაგან და უფრო კი მაყურებელთაგან, რადგან ჯერ ჩვენში, ვინც მუქთად შრომობს, იმას უფრო ლანძღავენ ხოლმე.

ეჭვი არ არის, ამხანაგობის გამგეობას თავის მოქმედებაში შეცდომებიც ახლავს. ამას არც თვითონ მალავს და გულწრფელად აღიარებს—გამოუცდელობამ ბევრს რამიმე შეგვიშალა ხელიო, და, მართლაც, გამგეობის წევრნი გამოცდილნი რომ ყოფილიყვნენ, მათი საქმე ერთი-ორად უკეთ წავიდოდა და არც ეგოდენ ზარალს ნახავდნენ.

სცენის მოყვარე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მაისი.

ვარშავა, 31 მაისი. სმოჩის ქუჩაში მდგომს პოლიციელს რევოლვერი სამჯერ ესროლეს. ორი ტყვიით დაიჭრა პოლიციელი, მესამეთი—მიმავალი ვაჭარი. დამნაშავენი მიიმალნენ.

ბაქო, 31 მაისი. გუშინ დღისით ხალხით სავსე ნაპერეჟნი ქუჩაზე ეტლით მიმავალმა სომეხმა მიხეილ ბაღდასარიანცმა სროლა დაუწყო ტრამვაის ვაგონს, რომელშიაც მაჰმადიანები ისხდნენ. დაიჭრა ერთი მაჰმადიანი. ყველაფერი აირია. ერთ თვალის დახამხამებაზე დუქნები დაიკეტა და მხოლოდ საპატიო მაჰმადიანთა ჩარევამ დაამშვიდა ხალხი. ბაღდასაროვი შეიპყრეს. ხალხს უნდოდა გაესამართლებინა იგი. ბაღდასაროვის ამხანაგი მიიმალა.

ლოძი, 31 მაისი. ლოძის მახლობლად, ლეგევნიკაში, გუშინ ბრბომ მოჰკლა ჟანდარმის უნტერ ოფიცერი პრონიჩენკო.

მინსკი, 31 მაისი. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობასთან, რომ ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქმნან ხალხის წარმომადგენელნი.

სამარა, 31 მაისი. მასწავლებელთა კრებამ შეადგინა მასწავლებელთა კავშირის განყოფილება.

ხარკოვი, 31 მაისი. საგუბერნიო საერობო ეკონომიურ საბჭომ დაადგინა, აგრარულ საკითხის გარდასაწყვეტად, დაუყოვნებლივ გამოიკვლიოს მთელი გუბერნიის დღევანდელი მდგომარეობა. საჭიროდ სცნეს, გლეხ-კაცის უფლებანი გაუთანასწორონ დანარჩენ წოდების უფლებებს.

ვარშავა. ეკონომიურ მოსაზრებით გაზეთი „გაზეტა ვარშავსკაია“-ს გამოცემა შეწყდა. გაზეთი გამოდიოდა 131 წლის განმავლობაში.

კიევი, 31 მაისი. ვაჭართა კრებამ დაადგინა: უბირ დღეს ვაჭრობის დრო შეამცირონ, კვირა-უქმე დღით კი სრულებით აღარ ივაჭრონ.

პოლტავა, 31 მაისი. საგუბერნიო საერობო საგანგებო კრებას შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება არ მისცა კრებაზე გაერჩიათ ქალაქის გამგეობის მოხსენება სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესობის შესახებ, რომელიც უნდა წარედგინათ მინისტრთა საბჭოში, კრებამ დაადგინა, ხელმეორედ განასაჩივრონ მინისტრის მოქმედება და აირჩია კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მოკლე რეზოლიუცია დღევანდელ აუცილებელ საჭიროებათა შესახებ. ეს რეზოლიუცია უნდა მოხსენდეს კრებას და შემდეგ უნდა გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ.

პეტერბურგი, 31 მაისი. ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით შესდგა რჩევა, რომელმაც უნდა განიხილოს სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის ნორმალურ დასვენების მინიჭების საკითხი. რადგანაც საჭირო შეიქმნა მოელაპარაკონ შრომისა და კაპიტალის წარმომადგენლებს, კრება 1 ივნისისთვის გადადო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

31 მაისი.

გუნჯულინი, 29 მაისი. ის ცნობა, ვითომ მარცხენა ფრთეზე ბრძოლა დაწყებულიყოს, ოფიციალურად არა მართლდება. ამბობენ, ეს დასაწყისია მომავალ დიდი ბრძოლისაო. მთელს ფრონტზე იაპონიის ცხენოსანი ჯარი გაფაციცებით მოქმედობს.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა, 30 მაისის თარიღით: „27 მაისს მტრის მოწინავე რაზმებმა წინ გამოილაშქრეს. ერთი კოლონნა, რომელიც შესდგებოდა ქვეითი ჯარისა და ცხენოსნების სამთო ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვეველებით, მანდარინის გზის აღმოსავლეთით მოდიოდა და დაიჭირა სიმაღლეები მდინარე კოხეს მარჯვენა ნაპირზე. ჯარის დანარჩენს ფრონტზე ჩვეულებრივი თოფის სროლაა“.

ტოკიო, 29 მაისი. გუშინ ლაპარაკობდნენ, რომ ზავის შესახებ თათბირი პეკინში მოხდებაო. უპირატესობას ყველა ვაშინგტონს აძლევს. დღეს დილით 10,000 ბავშვი, ზავის მოლოდინში, ბაირაღებითა და სიმღერით ქუჩებში დადიოდა.—რუსეთ-ჩინეთის ბანკმა ჩინეთს სესხად შესთავაზა დიდი ფული, რათა აუნაზღაურონ ის ზარალი, რომელიც ჩინელებს ომის გამო მოუვიდათ. ამ წინადადებაზე ჩინეთმა მტკიცე უარი განაცხადა.

ვაშინგტონი, 30 მაისი. პეტერბურგსა და ტოკიოს შორის უკვე აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაიწყო ზავისათვის მოსალაპარაკებელ დროისა და ადგილის დასანიშნავად. კასინისა და ტაკახირის შორის მოლაპარაკება რუზველტის შუამავლობით ხდება, რადგანაც მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა ჯერ არ არის აღდგენილი.

ვაშინგტონი, 30 მაისი. ზავის შესახებ მოლაპარაკებას წინ არავითარი დაბრკოლება არ ელობება. კასინი ნახევარი საათი ცალკე ელაპარაკებოდა რუზველტს და დაარწმუნა, რუსეთი რწმუნებულთ დანიშნავსო.

ტოკიო, 31 მაისი. ოფიციალურად გამოცხადდა, მოლაპარაკება ზავის შესახებ დაიწყო.

ნიუ-იორკი, 31 მაისი. ოფიციალურ ცნობების თანახმად, ზავის შესახებ მოლაპარაკება ვაშინგტონში მოხდება. ლონდონსა, პარიზსა და ბერლინს ამ საქმისთვის მოუხერხებლად სთვლიან. ვაშინგტონში ხმა დადის, ინგლისი და სხვა სახელმწიფოები ნებას არ მისცემენ, პორტ-არტური იაპონელებს დარჩესო. იაპონიის ელჩმა განაცხადა, კონტრიბუცია ერთ მილიარდ დოლლარს შეადგენსო. ფიქრობენ, რომ ათი დღის შემდეგ დროებით ზავს ჩამოაგდებენო.

ჰააგა, 30 მაისი. ზოგიერთების მოსაზრებით, როგორც საერთაშორისო სასამართლოს ადგილი, ჰააგა უფრო ხელსაყრელია ზავის შესახებ მოსალაპარაკებლადაო, მაგრამ მაინც არა ჰგონიათ, რომ მოლაპარაკება ამ ქალაქში მოხდეს, რადგანაც მოლაპარაკების შესახები პროექტი რუზველტს ეკუთვნის, უპირატესობაც ვაშინგტონს მიეცა.

ვაშინგტონი, 31 მაისი. აქ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ინგლისის გაზეთების იმ ცილისწამებას, ვითომ რუსეთს უნდა დრო მოიგოსო.

ლონდონი, 31 მაისი. „ლოიდი“ სინგაპურიდან იუწყება: დღეს რუსის კრეისერმა „დნეპრ“-მა ნიდერლანდის გემი ,,ფლორესი'' მალაკის ყურეში გააჩერა. 41 ჩინელი და ბრიტანიის გემის ,,სკილდა''-ს ფოსტა გადასცა. ,,სკილდა'', როგორც სამხედრო კონტრაბანდა, რუსებმა შეიპყრეს და ჩინეთის ზღვაში ჩასძირეს. ,,სკილდას'' აფიცრები, ევროპიელები და ინჟენრები ,,დნეპრზე ' დასტოვეს.

ტოკიო, 30 მაისი (რეიტ.). ოფიციალურ ცნობების თანახმად, 28 მაისს, ლიაოკონპანგის სამხრეთით ექვსი მილის მანძილზე მდებარე ხოპნძის მიდამოებში იაპონიის ცხენოსანმა ჯარმა დაამარცხა რუსები. მეორე რაზმმა რუსებს დაახევინა სიაონჩენძიდან, რომელიც კანპანგის ჩრდილოეთით 18 მილის სიშორეზე მდებარეობს, და სიაოკოტანის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობი დაიჭირა.

ტოკიო, 30 მაისი („დეილი-ტელეგრაფი''). იმპერატორისა, მემკვიდრისა, პრინცებისა, იამაგატისი, იტოსა, კაცურასა, კამურასა, სამხედრო და საზღვაო მინისტრთა და მაღალ წრეების აუარებელ წარმომადგენელთა თანადასწრებით, დიდ მნიშვნელოვანი რჩევა მოხდა.

ტოკიო, 31 მაისი (რეიტერი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ კვირას, რუსების რამდენმამე კოლონამ იერიში მიიტანა გინჩჟენჩენგისა, ნრშიპუსა და ჩუფანტუს მიდამოებზე, მაგრამ იაპონელებმა ყველა იერიში მოიგერიეს. ზარალი ჯერ გამოურკვეველია.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

უცხოეთის პრესსის აზრი რუსეთის შესახებ. უკანასკნელ ხანში რუსეთი უცხოელების თვალში ძალიან დაბლა დაეცა. უცხოელები ამბობენ, ის ქვეყანა, რომელიც თავის უბედურობას გულცივად და გულგრილად ეკიდება, სამუდამოდ დაღუპულად უნდა ჩაითვალოსო. საფრანგეთს, ინგლისს, ამერიკასა ან რომელსამე სხვა თავისუფალ სახელმწიფოს ის დღე რომ დაჰმართოდა, რაც რუსეთს დაემართა, აქამდის ყველაფერი ყირამალა გადაბრუნდებოდა: ხალხი აღდგებოდა, მთავრობას ანგარიშს მოსთხოვდა და საქმეს თვითონ ჩაუდგებოდა სათავეშიო. რუსეთი კი თითქმის მთლად განადგურდა, შერცხვა, მთელს ქვეყანაზე თავი მოეჭრა, მაგრამ ყველაფერი ძვე-
ლებურად დ
არავის ანგარ
ღუპავს, ხალხი
ხადებს და მხოლო
თხოულობს. მაგრამ
ამბობენ უცხოელები,—
ყოველთვის ეზარებოდა,
ისევ ეკლესიასა, ლ
და ტირილში ჰპოვებ
ტია თავის ნებით თ
თორემ თითონ ხალხ
თარ უფლებას ვერ
თა ბუნება, ასეთია
შიაც ასეთივე დარჩებ

„ნ. ფ. პრ.“-ს უკვირ
მელიც გამოიჩინა რუს
შემდეგ. გაზეთის აზრით,
რომ რუსეთში სრუ
ინტერესთა ერთობის
ეშინიანთ, ვაი თუ ლ
დამარცხებით ისარგებლ
როკრატიას მოახვიონ
რად ცდილობენ როგ
მნიშვნელობის შემცირებას,
სეთში ჯერ ძლიერია და სა
სტეენსკის დამარცხებამ სა
მოწვევა დააჩქაროს. ბიუ
დინოს კიდევაც საერო კრებ
ფერი გამოვა, რადგან ამ კრებას არ
არ მისცემს. მას უნდა ამით
დროებით ჩააქროს, თვითონ კ
შავი საქმე განაგრძოს.

ასეთის აზრისაა რუსეთი
ოფიციალური გაზეთი (ნ.

„ტაიმს“-ის აზრით, რუსეთ
ლება. მკვდრის აღდგენა შე
გაზეთი და იგონებს იმ დ
წლის წინად ამტკიცებდა,
რუსეთი რომ გაჰყიდოს, ხა
არ ამოიღებს და პროტესტს
განაცხადებსო (რ. ლ.).

ზავი. დეპეშებიდან ვიცით,
ბა განაცხადა ზავის ჩამოგდები
და გაიგოს ის პირობები, რო
მოითხოვს. რუსეთისა და ია
გენლები—იაპონიის ცნობილი
ლვაწე მარკიზი იტო და რუს
რანგეთში გრაფი ნელიდოვი,
შეხვდებიან და მოლაპარაკებ
ნამ გამოირკვეოდეს, შეიძლება
ჩამოგდება, იაპონია და რუსეთი
და შერიგდნენ და ომიც მოისპ
გაზეთები სწერენ, რუსეთს ზავი
მხოლოდ იმასა ცდილობს, რომ დრ
რიგდეს იაპონიას, ამით ისარგებლოს, დრ
და ბრძოლის ველზე თავის საქმე გა
ჩაიყვანოს, სიმაგრეები ააგოს, ელ
გაამაგროს და ფული იშოვოსო (პ. ს.).

ბერლინის გაზეთებს პეტერბურ
ბინებენ: რუსეთის ბიუროკრატიამ
ლება გადასწყვიტა. საერო კრებას
ომის საქმის გადაწყვეტას მიანდ
თუ კრებამ ზავი მოითხოვა, მთავრობა
დაშლის კრებას და ომს კვლავინდებ
ნაგრძობსო (რ.).

ფელეტონი

დამფუძნებელი კრება.

—

რუსეთში, დღეს თუ არა ხვალ, ბიუროკრატიის ძალ-მომრეობას ბოლო უნდა მოეღოს და პოლიტიკური თავისუფლება დამყარდეს. ერთის თუ ორის წლის წინად ამ თავისუფლებას ისე ვერავინ მოითხოვდა, რომ სასტიკად არ დასჯილიყო. მართალია, მისი მოთხოვნა არც ეხლაა „კანონიერი“, მაგრამ, რადგან ბიუროკრატიის გაუქმება და პოლიტიკური თავისუფლება მთელ ხალხს უნდა საერთოდ, ამიტომ მთავრობაც წინანდებურად ვეღარა სჯის „ურჩსა“ და „მოუსვენარ“ ხალხს; ან ძალიანაც რომ უნდოდეს მისი დასჯა, ვერ დასჯის, რადგან მაშინ მთელი რუსეთის დასჯა შეიქმნებოდა საჭირო.

ბიუროკრატიისა და მის უსამართლო წეს-რიგის წინააღმდეგ ყველა ამხედრდა: ვაჭარიც, გლეხიც, მუშაც, თავადიც, ინტელიგენცია და მდიდარი კაპიტალისტიც. ყველა პოლიტიკურ თავისუფლებას ითხოვს—ყველას უნდა თავის საქმეები თვითონ მართოს და განაგოს. მაგრამ თავისუფლებაც არის და თავისუფლებაც. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ შეადგენს რუსეთის მომავალ კონსტიტუციას, ე. ი. ვინ შეადგენს იმ უმთავრეს კანონებს, რომელზედაც დამყარდება ხალხის მომავალი თავისუფალი სახელმწიფო და რომელიც მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებს გამოარკვევს.

ამიტომ ხალხის ყოველმა კეთილის-მოსურნემ მისმა კეთილის-მყოფელმა და მეგობარმა უნდა მოითხოვოს, რომ ეს კონსტიტუცია თავისუფლად შეადგინონ მთელ ერის-მიერ თავისუფლად არჩეულმა წარმომადგენლებმა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, **დამფუძნებელმა კრებამ**.

კონსტიტუციის მოცემა თვითონ ბიუროკრატიასაც შეუძლიან: დაჯდებიან, შეადგენენ და მორჩა და გათავდა! მაგრამ არა; ამისთანა კონსტიტუცია ხალხს ვერაოდეს ვერ დააკმაყოფილებს. ხალხისათვის საჭიროა, რომ კონსტიტუცია ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა, აძლევდეს ფართო და თანასწორ პოლიტიკურ უფლებებს, ერთის სიტყვით, საჭიროა, რომ კონსტიტუცია მთელ ხალხის ინტერესებს იცავდეს და არა მარტო თავად-აზნაურობისა, მოხელეებისა და მდიდარ მექარხნეებისა. ის კონსტიტუცია კი, რომელსაც ბიუროკრატია შეადგენს, ისევ ბიუროკრატიისა და მდიდრების ინტერესებს დაიცავს. ეს უეჭველად ასე იქნება. მაგრამ რადგან ხალხი იმას უნდა ცდილობდეს, რომ კონსტიტუცია ხალხის ინტერესებს იცავდეს და არა ბიუროკრატიის, ამიტომ საჭიროა, კონსტიტუცია ხალხმა ისე შეადგინოს, რომ მთავრობამ ამაში მონაწილეობაც კი არ მიიღოს. აი, ამისთანა კონსტიტუციის შედგენა შეუძლიან მხოლოდ ხალხისგან **არჩეულ დამფუძნებელ კრებას**.

მშრომელი ხალხი არც იმ კონსტიტუციას უნდა ენდოს, რომელსაც ან მარტო თავად-აზნაურები შეადგენენ, ან მარტო მდიდრები, ან მარტო განათლებულნი. ის ხალხი, რომელიც ან გაუნათლებელია, ან ღარიბი—უეჭველად დაიჩაგრება. ამიტომ საჭიროა, რომ დამფუძნებელი კრება **საყოველთაო** იყოს, ე. ი. ამ კრებაში მთელის ხალხის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. უკეთ რომ ვთქვათ, არჩევანი ამ კრებაში უნდა მოხდეს საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულ კენჭის ყრით.

მაგრამ მარტო ესეც არ კმარა. აუცილებლად საჭიროა, ხალხს თავის სურვილისა და მისწრაფების გამოთქმის უფლებაც ჰქონდეს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით იყოს მოწვეული, მაგრამ ამავე დროს ისეთის ხრიკებითა და პირობებით მოეწყოს ეს არჩევანი, რომ ხალხს ნამდვილად წაერთმევა ის უფლებანი, რომელიც ქაღალდზე იქნება დაწერილი. ამისთანა პატარ-პატარა ხრიკები და შეუმჩნეველი პირობები მრავალია და მათი ჩამოთვლა ასე ადვილად არ შეიძლება. უწინარეს ყოვლისა საჭიროა, არჩევნებამდის ყველას თავისუფლად ლაპარაკისა და წერის უფლება მიეცეს, ე. ი. საჭიროა **აგიტაციის თავისუფლება**.

საარჩევნო აგიტაცია.

უეჭველია, ყველას ენახვება სოფლის კრებებზე და სხვაგანაც ისეთი კაცები, რომელნიც უბრალო ბძანებას არ ემორჩილებიან, ესა თუ ის საგანი თავისებურად ესმით და ცდილობენ თავის რწმენა სხვებსაც ჩააგონონ და სხვები თავისკენ გადმოიბირონ. ისიც ყველამ იცის, რომ მთავრობას—პოლიციას, მაზრის უფროსს, ბოქაულსა და დანარჩენ წვრილ ადმინისტრაციასაც—არ უყვართ ამისთანა „მოუსვენარი“ კაცები, ემტერებიან და ცდილობენ კანონიერად და უკანონოდაც ამისთანა „მეტიჩრები“ თავიდან მოიშორონ. ამისთვის მთავრობა ქრთამით, მუქარითა და თავზე ხელის მოსმით გლეხებს აიძულებენ ხოლმე ამგვარ კაცების თავიდან მოშორებას: ადგენენ სასოფლო დადგენილებას დათავისსავე მეგობარსა და კეთილ-მოსურნეს სოფლიდან სდევნიან. თუ გლეხობა შეგნებული აღმოჩნდა და უსამართლობის ჩადენა არ მოისურვა, პოლიცია მაინც თავისას გაიტანს: სარგებლობს გაძლიერებულ დაცვის წესით, სარგებლობს თავის თვითნებობით, ძალმომრეობით, ხალხის საუკეთესო მეგობრებს თავიდან იშორებს და თავსაც იმით მართლულობს, ვითომ ესა თუ ის პირი „კეთილსაიმედო“ არ არისო. ასევე იქცევა ადმინისტრაცია ქალაქებშიაც: „მოუსვენარ“ მუშასა და ინტელიგენტს ქალაქიდან სდევნის და თანაც საქმეს ისე უხლართავს, რომ იმას აღარსად იღებენ,—ამბობენ, „მოუსვენარი“ და „სახიფათო“ კაციაო. ის მუშები, რომელნიც ამხანაგებს აგონებენ და არწმუნებენ, რომ მდიდარმა არ უნდა გაყვლიფოს მუშა და უკეთეს მომავლისთვის იბრძოლოს; ის „ურწმუნო“, რომელიც ხალხს არწმუნებს, რომ მღვდლები მატყუარები არიან; ის ინტელიგენტი, რომელიც პოლიციის თვითნებობასა და ქალაქის ფულის გამფლანგველებს არ მალავს და მათ დანაშაულს პირდაპირ აცხადებს; ის მწერალი და ჟურნალისტი, რომელიც გაბედულად ლაპარაკობს და ბიუროკრატიის უკანონობას მთელ ქვეყანას აცნობინებს,—ყველანი, ადმინისტრაციის აზრით, დამნაშავენი არიან, ყველას პოლიცია იჭერს, ციხეში აპატიმრებს და გაყინულ ჩრდილოეთში გზავნის, ან პირდაპირ ციმბირისკენ ამოგზაურებს.

პოლიციას ჰგონია, ამნაირ ზომით ფონს გავალ და „მოუსვენრებს“ სრულებით მოვსპობო. მაგრამ „მოუსვენრებს“ არც ციხისა ეშინიანთ, არც ციმბირისა, არც განდევნისა და მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ მოსპონ არსებული უთანასწორობა, ძარცვა-გლეჯა, უწესოება და ხალხის დამონება თუ გაყვლეფა. მარტო იმას კი არა ცდილობენ, რომ ეხლანდელ ბიუროკრატიას ფრთები შეაკვეცონ, არამედ იმასაც, რომ ეს ბიუროკრატია საბოლოოდ მოსპონ და ძირიანფესვიანად აღმოფხვრან; მარტო იმას კი არა ცდილობენ, რომ ერთის და ორის, კაცის გაყვლეფა მოისპოს, არამედ იმასაც, რომ საზოგადოდ ბოლო მოუღონ და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრან ყოველგვარი უსამართლობა, დაჩაგვრა, ძარცვა და ხალხის დამონავება.

ბიუროკრატიის მეოხებით ხალხი არავითარ მონაწილეობას არ იღებს საზოგადო საქმეების მართვა-გამგეობაში. რათა ხალხმა შეიძლოს სახელმწიფოს რთულ საქმეების გაგება და შეგნება და სწორედ ისინი დაასახელოს დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნად, ვინც იმის ინტერესებს დაიცავს, საჭიროა—იმათ, ვინც ყოველთვის ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავენ, შეძლება მიეცეთ ხალხთან ილაპარაკონ, აუხსნან ხალხს, თუ რა და როგორ ხდება, ყველაფერი გააგებინონ და აუხსნან პოლიტიკურ თავისუფლების მნიშვნელობა და საჭიროება.

აი, ამიტომ, სანამ დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნ დეპუტატების არჩევანი დაიწყებოდეს, ხალხმა უეჭველად უნდა მოითხოვოს პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ საქმეებზე დასჯილთა, დაპატიმრებულთა და გადასახლებულთა **განთავისუფლება**. ყველა, ვინც იბრძოდა პოლიტიკურ თავისუფლებისთვის, ხალხის კეთილდღეობისთვის, სიმართლის დამყარებისთვის და არ ემორჩილებოდა პოლიციის თვითნებობას, ძალმომრეობასა და უსამართლობას,—ყველანი დღეს დასჯილნი არიან და ხალხმაც პირველად უნდა მოითხოვოს ამ დასჯილთა განთავისუფლება!

მაგრამ მათი განთავისუფლებაც საკმარისი არ არის... ბიუროკრატია მოვალეა, **დასჯილნი**—ათას ვერსის სიშორეზე გადასახლებულნი თავის სავე სამშობლოში დააბრუნოს და საჭირო ხარჯიც თვითონვე გაიღოს. ბიუროკრატია ისეთ ქალაქებში, სადაც ყველა შეგნებულნი არიან მცხოვრებნი, „მოუსვენარებს'' ცხოვრების ნებას არ აძლევს, ამნაირი წესი დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს. მაგალითად, რომელსამე მშვენიერ აგიტატორს-მოლაპარაკეს ებრაელს ნება არა აქვს დიდ ქალაქებში არა თუ ცხოვრებისა, არამედ ცოტა ხნით მისვლისაც. ხალხმა უნდა მოითხოვოს **დასახლებისა და მიმოსვლის თავისუფლება**. ამას ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს აგიტაციისთვის, როგორც დასჯილთა განთავისუფლებას.

პოლიციას, მაზრის უფროსებს, ჟანდარმებსა და საზოგადოდ ადმინისტრაციას ჩამოერთმევა ის უფლება, რომლის ძალითაც ისინი თავის ნებითა სჯიან, აპატიმრებენ და ჰგზავნიან „მოუსვენარ და უკმაყოფილო'' ხალხს. ამისთვის **საჭიროა—დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქმნას გაძლიერებულ დაცვის წესი.** ყოველნაირი პოლიტიკური საქმე უნდა გაარჩიოს სასამართლომ. მოსამართლეებად უნდა იყვნენ ხალხის-მიერ არჩეული ნაფიცი მსაჯულნი; ამ სასამართლოს ნებადაურთველად, პოლიციას ნება არა აქვს ვისიმე დაპატიმრებისა, თორემ პოლიციას ადვილად შეუძლიან არჩევნების დროს საუკეთესო კაცების დაპატიმრება... არჩევნების შემდეგ კი ისევ გაანთავისუფლებს და თავს ან შეცდომით გაიმართლებს, ან სულ არ გაიმართლებს.

ყველა ზემოხსენებულ თავი
აუცილებლად **საჭიროა** ბე
თავისუფლება. ორატორს შეუძლიან
კოს მხოლოდ რამდენისამე ას და ათას
ნაში, დაბეჭდილ წიგნაკსა და გაზეთს
და იმავე დროს წაიკითხავს რამდენიმე
ათასი და მილიონიც. ამიტომ ყველას
და ჰქონდეს დაბეჭდვის, რაც უნდა, და
არც პოლიციასა და არც ცენზურას, ნებ
და ჰქონდეს დაბეჭდილ წიგნებისა და გა
დაწუნებისა, დაჭერისა. ამიტომ ყველას ნე
და ჰქონდეს, დაბეჭდვის გარდა, დაბეჭდილ
ყიდვისა და დარიგებისა, ეხლა კი წიგნების
გაზეთების ბეჭდვა და დარიგება შეიძლებ
ლოდ მთავრობის ნებართვით. გარდა
კითხვლოებსა და ბიბლიოთეკებს ნებას
ლევენ ყველა დაბეჭდილი და ცენზურ
ნებადართული წიგნები იქონიონ. წიგნ
გაზეთების გავრცელების შესაფერხებლა
რედაქტორებისა და გამომცემლებისა
თხოულობენ, ან წიგნებს ბაჟს ადებენ.
გამოდის, რომ, წიგნებიცა და გაზეთებიც მ
დება და მშრომელ ხალხში ველარ ვრცელდებ
ეს წესიც უეჭველად უნდა მოისპოს.
ნება უნდა ჰქონდეს სტამბების შეძენისა და უბაჟოდ და ბეს გადაუხდელად ყოველგვარ წიგნებისა და გაზეთების გამოცემისა.

მაგრამ მარტო ბეჭდვითი სიტყვა არ კმარა. საჭიროა, რომ ხალხს ნება ჰქონდეს შეიკრიბოს და თავის საჭიროებასა და დამფუძნებელ კრებაზე მოილაპარაკოს. ამიტომ **საჭიროა კავშირებისა და შეკრების სრული თავისუფლება**.

ხალხი უნდა შეიკრიბოს იქ, სადაც უნდა: დარბაზში, მოედანზე, მინდორში და სხვაგანაც. ამ კრებებზე დასწრება არავის არ უნდა აეკრძალოს, თორემ ზოგიერთ ქვეყნებში დედაკაცებსა და მცირეწლოვანთ არ უშვებენ. დედაკაცებსაც ისეთივე უფლებანი უნდა ჰქონდეთ, როგორიც მამაკაცებს ექმნებათ. კრებებს მცირეწლოვანნიც უნდა დაესწრნენ, რათა წინდაწინვე ისწავლონ და შეიგნონ თავიანთი საჭიროება და მომავალ ბრძოლისთვის მოემზადონ. [illegible] ზოგ „თავისუფალ“ სახელმწიფოში კრებები ნებადართულია, მაგრამ პოლიცია მაინც ათასნაირ ხრიკს ხმარობს და ხალხს ძალიან უძნელებს კრებების გამართვას. მაგალითად, გარედ კრებების გამართვა აკრძალულია, ან კიდევ სასახლეებიდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდან განსაზღვრულ მანძილზე შეიძლება შეკრება, ან დროს შეზღუდავ: დაადგენენ, კრება 10—11 საათზე უეჭვე-

ტაიმს“-ს პეტერბურგი- …აენ: ყველა მინისტრებს …ქმის გარეშე მყოფ ბო- …იც კი არა სურთ და …, რუსეთმა იმ დრომდის …ნ გაიმარჯვებს, ან მთლად

…ლის დროს იაპონელები ხმა- …და იაპონელის მიერ გაპოგო- …მელნიც გაცილებით სჯობია …ს (რ.).

…საიდუმლოება. ერთ იაპონელ …ლიც ტოგოს ფლოტში მსახუ- …ტაგ.“-ს კორესპონდენტისთვის …მას გამარჯვება უფრო იაპონიის …ულობაა, ვიდრე ზარბაზნებისა. ია- …ებით მეზღვაური უფრო მეტია, …ი. იაპონელ მეზღვაურს გაგიჟე- …ს საქმე და, ძალიანაც რომ გა- … საყვარელ საგანს არ ულალა- …ლებს ძალიან გაუჭირდათ პორტ- … მაგრამ არც ერთი მათგანი არ …უსები კი სულ არაფში იხრჩვებიან. …ის არა ეხმარიაბთ, არავის არა ესჯით, … უფროსობას მხოლოდ დასჯითა და …ირენენ. აი, ამით აიხსნება ჩვენი, … უმაგალითო, გამარჯვება. გან- …ოგო დახელოვნებული, ნასწავლი, … მხნე და ენერგიული ადმირალია. ის …რებს ისე უყურებს, როგორც მოსიყვა- …ჰა. იმასაც ჩვენისთანა მეზღვაურებით გა- … სულაც არ უჭირდება. ჩვენი მეთევ- …ს შემდეგ მშვენიერი მეზღვაურია, … გემზედაც რომ დაბერდეს, თავის …ც ხმელეთზე ჰგონია. რუსები დაშინდ- …რთსა და იმავე დროს სულელებიც ეგო- … გენიოსებიც. რუსები ამტკიცებდნენ, … როჟესტვენსკის იაპონელთა ნაღმოს- …ენო და ამით ჩვენ არაჩვეულებრივ …აწერდნენ; მერე იმასაც ამბობდნენ, …როჟესტვენსკის ოკეანეში დაუხვდებაო და … ვითომ ჩვენ მართლა იმდენად სულე- …ყავით, რომ საკუთარ სახლისთვის თავი …ანებინა და ოკეანეში გავსულიყავით. რა- …ვის, როდესაც თვითონ როჟესტვენსკი …სულიყო ჩვენს სახლში? (ნ. ვ.).

„რუს“-ის კორესპონდენტს მესამე არ- …ოს გენ. ბატიანოვთან უსაუბრია. …ვს უთქვამს: მართალია, იაპონელებმა …სკადრა გაანადგურეს, მაგრამ ხმელეთზე …ის და ბოლოს მაინც ჩვენ ვაჯობებთო. …ვე გენერალს ჯარისთვის სიტყვით მიუმარ- …ვს და ბოლოს უთქვამს: ეცადეთ, რომ ჩვენს …ლმწიფეს ასეთი დეპეშა გავუგზავნოთ: „გავიმარჯვეთ. იაპონელნი მირბიან“ (რ.).

…უსი მეზღვაურები გაბრაზდნენ. რუსეთის …აზღვაო მთავარ შტაბისა და საადმირალოს …თიცრები ძალიან ჯავრობენ და ამბობენ, …ესტვენსკის დამარცხება, რუსეთის ფლოტის …ბურება და ჩვენი შერცხვენა პეტერბურ- … ბობოლების ბრალიაო, და თხოულობენ, …ნაშავენი სამართალში უნდა მივცეთო (ნ.).

…ტყვე რუსის წერილი. იაპონიიდან ერთი …ყვე ოფიცერი იწერება: გაზეთებს ვკითხულობთ და უფრო შინაური საქმეები გვაინტერესებს, ვიდრე ომი. ყველას იმედი გვაქვს, რომ აქედან თავისუფალ რუსეთში დავბრუნდებით და არა წინანდელ უხმო და მონა რუსეთში. ახლა ჩემს მეგობრებს, წინანდელ მონა-მორჩილ კრავებსაც, გაეხილათ თვალები და სავსებით შეიგნეს რუსეთში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმის მნიშვნელობა. ახლა ყველამ ვიცით, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე. როცა რუსეთში დავბრუნდებით, ჩვენს მოვალეობასაც მაშინ ავასრულებთ (რ. ვ.).

ახალი ამბავი

◆ თამამშევის ქარვასლის პატრონებმა მოვაჭრეებს მხოლოდ ვალი, 7,000 მანათი აპატიეს, ქირების დაკლებაზე კი უარს არიან. ამისათვის ვაჭრებმა **არც გუშინ გაალეს ქარვასლა.** ქალაქის ყველა ნაწილში კი გუშინ პოლიციამ კაზაკების თანადახმარებით დუქნები ძალად გაალებინა. ვოგზალთან პოლიციამ ჩალეწა ერთი ღვინის სარდაფი, რადგან პატრონი არ აღებდა.

◆ სამშაბათს, 31 მაისს, საღამოს 8½ საათზე, თამამშევის ქარვასლის **კარებთან მოჰკლეს მეოთხე საპოლიციო უბნის პოლიციელი ნიკონ შელუხი.** პოლიციელნი სტეპნიაკი და შელუხი ქარვასლის ქვეშ ლუდხანაში შევიდნენ ლუდის დასალევად. გოროდოვოებს ლაპარაკი მოუვიდათ ერთ იქ მოქეიფე კაცთან, რომელიც მღვდელთან ერთად ლუდსა სვამდა. პოლიციელმა შელუხმა მოჰკიდა ხელი ამ კაცს და პოლიციაში მიჰყავდა. იქ მყოფმა ხალხმა ყიჟინა დასცა, ნუ მიგყავთო, მაგრამ პოლიციელ შელუხს მაინც მიჰყავდა იგი. ამ დროს დატყვევებულმა ამოიღო რევოლვერი და ოთხჯერ ესროლა პოლიციელს. ერთის ტყვიით მოჰკლა, სამი კი ჰაერში დასცალა. მკვლელი გაიქცა, მაგრამ მეორე პოლიციელი გამოუდგა, ქალაქის ხორცის დუქნთან წამოეწია და დაიჭირა. მკვლელი აღმოჩნდა სოფელ დიდ-თონეთის მცხოვრები ივანე დიმიტრის ძე შავშიშვილი; შავშიშვილი წინად რკინის გზის სახელოსნოებში მსახურებდა თურმე და ამჟამად უსაქმოდ დაიარებოდა.

◆ როგორც „კასპი“ გადმოგვცემს, ბაქოს გუბერნატორს მიუღია კავკასიის ნამესტნიკისაგან განკარგულება,—**ამიერ-კავკასიის საერობო დარაჯთა რაზმის თავისუფალ ადგილებზე აღარ მიიღოთ აღარც ოფიცრები და აღარც სტრაჟნიკებიო.** აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ზემოაღნიშნულ დარაჯთა რაზმის გაუქმებას აპირობენ.

◆ გუშინ, 1 ივნისს, კავკასიის **ნამესტნიკის წინაშე წარსდგა სომეხთა დეპუტაცია,** პ. ო. ტამბაროვის მეთაურობით, და სთხოვა საშუალებანი მიეღო ერევნის გუბერნიაში სისხლის ღვრის მოსასპობად. ნამესტნიკი ყოველგვარ დახმარებას დაჰპირდა.

◆ რკინის გზის მთავარ-სახელოსნოების მუშებმა და ხელოსნებმა რკინის გზის უფროსთან შუამდგომლობა აღძრეს **სახელოსნოებთან სამკითხველო-წიგნთსაცავის დაარსების შესახებ.** ამ საქმისთვის ერთ-დროულად თხოულობენ 2500 მ. ხოლო ყოველ წლივ 800 მანათს. რკინის გზის უფროსმა მოსახერხებლად სცნო მხოლოდ 500 მანათი სუბსიდია, ყოველ-წლივ კი 300 მანათის გაღება.

◆ ბ-ნ პ. ა. გოთუას მაგივრად, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, მთავრობამ **ბ-ნი პეტრე მირიანაშვილი დანიშნა ცენზორად.**

◆ ბათუმიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქაც **გაჩენილა „მენინგიტის“ სენი** და ერთი ავადმყოფი გარდაცვლილა. ეს პირველი შემთხვევაა ბათუმში ამ სენით სიკვდილისა.

◆ როგორც გაზეთ „კავკ.“ კორესპონდენტის დეპეშიდანა სჩანს, ნახიჩევანში ჯარების მისვლის შემდეგ ხალხი ცოტათი დამშვიდებულა. **სოფელ ბადამლუში 800 კაცს სომეხს მაჰმადიანობა მიუღია,** თათრებისაგან ამოჟლეტისა შეშინებიათ.

◆ განჯიდან „მშაკ“-ს ატყობინებენ: აქაურებმა 6 თათრისაგან და 6 სომხისაგან **ამოარჩიეს კომიტეტი,** რომელიც სომხებსა და თათრებს შორის ძმურის განწყობილების დამყარებას სცდილობს. ამ საქმეში დიდს მონაწილეობას იღებს სეიდ-ალა-ბალა, რომელიც ცხენით დაიარება ქალაქში და ამ ორ ერს ძმობასა და სიყვარულს უქადაგებს. ამ კაცს სომხები დიდის პატივის-ცემით ეკიდებიან.

◆ ქ. გუმბრიდან ძველ **ნახიჩევანში წასულა ქალებისა და კაცების ჯგუფი,** რომელთაც სურთ დახმარება აღმოუჩინონ ნახიჩევაში დაშავებულთ. ამ ჯგუფს ნახიჩევანის ახალგაზდობაც შეერთებია. მათ დაუარსებიათ საავადმყოფო, სადაც 16 კაცი წევს.

◆ გუშინ, 1 ივნისს, **ქალაქის მოურავის მოადგილესთან წარსდგა მეფუნეების უსტაბაში** პაპალოვი და განუცხადა—მეფურნეები ჩივიან, უცნობ კაცების პირით გვითვლიან მუქარას, პურს ნუღარ გამოაცხობთო, და როგორ უნდა მოვიქცეთო. ბ-ნ ჩერქეზიშვილმა მომჩივანი გუბერნატორთან გაგზავნა.

◆ სათნოების დებად ერევნის გუბერნიაში, სხვათა შორის, გაჰგზავნეს ქალაქის **გამგეობაში მოსამსახურე ქალები,** რომელთაც აქაც ჯამაგირი ენახებათ და იქაც სხვა ჯამაგირს იღებენ.

◆ კვირას, 29 მაისს, ტფილისში **პროფ. მარრი ჩამოვიდა.** ის მიემგზავრება ანში არქეოლოგიურის გამოკვლევისათვის. პროფ. მარრის განზრახვა აქვს, იქ დააარსოს ბიბლიოთეკა, სადაც სხვადასხვა ენებზე არქეოლოგიური წიგნები იქმნება. პროფ. მარრი ანში ორ თვე-ნახევარს დარჩება.

◆ სამშაბათს, 31 მისს, სადგურ ავჭალაში ვიღაც უცნობი კაცი თავს დაეცა ბუნაკზ გარსამოსელოვს და ექვს ადგილას **სასიკვდილოდ დმსჭრა.** მკვლელს გამოუდგა ჟანდარმი, მაგრამ მკვლელი გაექცა, გადავარდა მტკვარში და დაიღრჩო.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების გამგე კომისიის თავმჯდომარეს—ბ-ნ ევანგულოვს მეოთხე საპოლიციო უბნის **ბოქაულმა ბაჩურინმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.** ეს მოხდა ქალაქის იმ ხორცის დუქანში, რომელიც თამამშევის ქარვასლის ქვეშ იმყოფება. ბ-ნმა ევანგულოვმა ქალაქის გამგეობასთან იჩივლა. გამგეობამ გადასწყვიტა—ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეისთან და გუბერნატორთან გაჰგზავნოს თ-დი ჩერქეზიშვილი და მოახსენოს, თუ ახლავ არ დაითხოვენ სამსახურიდან ამ ბოქაულს—ქალაქის ხორცის დუქნებს დავკეტავთო. გუბერნატორი დაჰპირება ბაჩურინის დათხოვნას.

◆ 29 მაისს ახალციხეში საშინელი **სეტყვა მოსულა** და მიწის მოსავალი სულ გაუნადგურებია.

◆ როგორც სოფელ სართიჭალიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში ალტაგლის მცხოვრებნი თავს დასცემიან თუშ მეცხვარეებს, მოუკლავთ სოფ. მარტყოფის მცხოვრები ისაკ ზაზუნაშვილი, გაურეკიათ 350 სული ცხვარი და 17 სული საქონელი დაუჭრიათ.

◆ სამშაბათს, 31 მაისს, ნაძალადევის ხიდზე ვიღამაც სასიკვდილოდ დასჭრა რკინის გზის სახელოსნოების ოსტატი ი. გორბენკო.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი“, № 140)

მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, რომ ქ. ერევანში სამი დღის განმავლობაში მოუკლავთ სომეხი—9, მაჰმადიანი—21, აისორი—1, სულ 31 კაცი; დაჭრილია: სომეხი 24, მაჰმადიანი—10, ებრაელი—1 და რუსი—1. 26 და 27 მაისმა მშვიდობიანად ჩაიარა. 27 მაისს, ღამე, ერევანში გადმოსახლებულთა საკრებულოს წევრი მარჩენკო და საგანგებო მინდობილებათა მოხელე ვოლჩანინი—გუბერნატორისაგან სახლში ბრუნდებოდნენ. სიბნელეში მათ ვიღამაც ესროლა თოფი, მაგრამ ააცდინა. ბაზარში გაძარცულია ექვსი მაღაზია. იმავე საღამოს ერთის მაჰმადიანის ცარიელს სახლს ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ მალე ჩააქრეს. სავაჭრო დაწესებულებანი ქალაქში დაკეტილია. კამრალნის საბოქაულოში (ერევნის მაზრაა) სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა. ბევრია მკვდარი და დაჭრილი. მესამე საბოქაულო ნაწილში სომხებმა დაარბიეს მაჰმადიანების სოფელი. დაწვრილებით ცნობები ჯერ არაა მიღებული.

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება.

გუშინ, 1 ივნისს, მოხდა ტფილისის თავად-აზნაურთა **საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრების** გაგრძელება. თავდა-პირველად ლაპარაკი ისევ იმის შესახებ იყო, თუ რანაირად აღმოეჩინოს დახმარება იმ დაზარალებულ თავად-აზნაურებს, რომლებსაც ვეღარ შეუძლიანთ ბანკში სარგებლის შეტანა. შემდეგ მოვიდა ამბავი, ვითომ სამშაბათ საღამოს კაზაკებსა და პოლიციელებს მღვდლებისთვის ეცემოთ სემინარიის წინ. ამ ამბავმა ისე აალელვა კრებაზე დამსწრენი, რომ ბანკის კითხვების გარჩევა გადასდეს 12 ივნისისთვის. მღვდლების ცემის შესახებ საქმის გამოსარკვევად გუშინვე კრება გაიმართა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოში, სადაც თვითონ ნაცემმა მღვდლებმა უამბეს კრებას, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი.

ქუთაისის ცხოვრება

ქუთაისის სქველ-მოქმედო საზოგადოების წევრთა კრება.

26 მაისს თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დარბაზში თავი მოიყარა ქუთაისის სქველ-მოქმედო საზოგადოებამ. კრებას დაესწრო სულ... სამი კაცი, საზოგადოების წევრი (გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთ ანგარიშში არა ვთვლით), რაც კრების გასახსნელად თითქმის საკმაოზე მეტი აღმოჩნდა. სიმართლე რომ სთქვას კაცმა, კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ სამი მეოთხედი, ანუ ერთი მთელი კაცი დაესწრო, რადგან წესდების ძალით კრებაზე დასასწრებლად საჭიროა საზოგადოების ერთი მეათედი ნაწილი. წელს კი საზოგადოებას ჯერჯერობით მხოლოდ სამი ნამდვილი წევრი ჰყავს, რომელთაც შემოუტანიათ წლიური გარდასახადი!

კრებაზე თავმჯდომარეობდა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი ა. ბ. ლორთქიფანიძისა.

განხილულ და დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების მოქმედების ანგარიშები 1902 და 1903—1905 წლებისა. როგორც ანგარიშებიდან სჩანს, 1902 წლის დამდეგს საზოგადოებას ჰყოლია სულ 4 საპატიო, 43 ნამდვილი და 29 დამხმარე წევრი. საანგარიშო წელში მომატებია 79 ნამდვილი და 4 დამხმარე წევრი. ამავე დროს განმავლობაში საზოგადოებისათვის თავი დაუნებებია საწევრო ფულის შეუტანლობის გამო 28 ნამდვილს და 29 დამხმარე წევრს. წლის განმავლობაში საზოგადოება ეხმარებოდა ფულით ღარიბებს, როგორც ერთდროულად, ისე ყოველ-თვიურად (21 კაცს ყოველ-თვიურად აძლევდა შემწეობას, თითოს 2—3 მანათს თვეში). საანგარიშო წლის დამდეგს საზოგადოებას ჰქონია ფულად 2034 მ. 62 კ.; ამ წელში შემოსულა სულ 3,953 მან. 20 კაპ.; წლის განმავლობაში დაუხარჯავს 991 მან. 71 კაპ.; ასე რომ—1903 წლის დასაწყისში საზოგადოებას ჰქონია 4,996 მან. 11 კაპ. და ჰყოლია 4 საპატიო და 46 ნამდვილი წევრი. 1903 წლიდან 1905 წლის 1 იანვრამდის საზოგადოებას მოჰკლებია 7 ნამდვილი წევრი; ფულად შემოსვლია სულ 7,657 მან. 86 კ. (მდგომარე წელში, როგორც ზემოდაც ვთქვით, მხოლოდ სამს წევრს შემოუტანია წლიური გადასახადი). საანგარიშო დროის განმავლობაში საზოგადოებას დაუხარჯავს სულ 5,454 მან. 93 კაპ.; ასე რომ ამჟამად საზოგადოებას აქვს ფულად თუ სარგებლიან ბილეთებით 7,196 მ. 7 კ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: ერთს მდიდარს კაცს, გვარად ფილიას, მოუსურვებია საპატიო მოქალაქის წოდების ყიდვა და წინადადება მიუცია საზოგადოების გამგეობისათვის, თუ ხსენებულ წოდებას მაშოვნინებთ, მზადა ვარ 5,000 მანათი შევწირო სქველ-მოქმედო საზოგადოებასო. ბ-ნს ფილიას ხსენებული ფული კიდეც შეუტანია ქუთაისის ხაზინაში და ხაზინის წიგნაკიც, თავის სახელზე გაკეთებული, საზოგადოების თავმჯდომარისათვის გამოუგზავნია. საზოგადოების გამგეობას რომ ხუთასი თუმნის წიგნაკი დაუნახავს, მადა აშლია და დაფაცურებულა, რომ ფილიასთვის საპატიო მოქალაქის წოდება ეშოვნა; მაგრამ მთავრობას უარი მიუხსენებია გამგეობისათვის, ასეთს დიდს წოდებას ერთბაშად და ისიც ასე იაფად ვერავის მივანიჭებთ, ამას თანდათანობით უნდა დამსახურებაო, და მხოლოდ ოქროს მედალზე წარუდგენია ბ-ნი ფილია. უკანასკნელს მთავრობის ასეთი განკარგულება არაფრად მოსწონებია და წერილით ატყობინებს საზოგადოების გამგეობას, უკაცრავად ბრძანდებოდეთ, 5,000 მანათს ერთს ოქროს მედალში ვერ მოვცემო. ოქროს მედალში, თუ მაინცა და მაინც გნებავთ, 300 (სამასი) მანათი დაიტოვეთ, დანარჩენი კი, თუ საპატიო მოქალაქის წოდებას ვერ მიშოვნით, უკანვე დამიბრუნეთო.

კრებამ საჭიროდ დაინახა ხელმეორედ აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ბ-ნ ფილიას მიენიჭოს საპატიო მოქალაქის წოდება და ამით საზოგადოებას მიეცეს ხუთასი თუმანი.

„ნეტავი ჩემს თავადობას იყიდდეს ის მამაცხონებული; ვინ ოხრა 1,000 მანათად ეხლავე არ მიჰყიდდისო“,—იოხუნჯა ერთმა თავადმა.

კრებამ ერთხმად დაადგინა, მადლობა გამოუცხადოს საზოგადოების თავმჯდომარეს ქ-ნ სმაგინისას—საზოგადოების სასარგებლოდ შრომისათვის. რაც შეეხება საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნებს, კრებამ საჭიროდ დაინახა

…ომ უნდა გათავდესო. ყველა ეს მოგონილია …ხალხის საწინააღმდეგოდ. ამისთანა …ი დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს! ყოველი საზოგადო დარბაზი—სკოლები, ეკლესიები, თეატრები და სხ. ღია—უნდა იყოს კრების გამართვისთვის. კრების გასამართავად პოლიციის ნებართვა არ უნდა იყოს საჭირო. კრებამ თვითონვე უნდა აირჩიოს თავმჯდომარე, მდივანი და სხ. პოლიციელებსა და ჟანდარმებს კრებაზე დასწრების ნება არ უნდა ჰქონდეთ, თორემ იმათ ძალიან უყვართ გაბედულ მოლაპარაკეს დახსოვნა და ჩაწერა. ბევრს ვითომ-და თავისუფალ ქვეყანაში ყოველ კრებას პოლიციელი ესწრება და, დაინახავს თუ არა, რომ ხალხი გაბედულობას იჩენს, მაშინვე სპობს კამათს და კრებას ჰკეტავს. ამისთანა პირობებში თავისუფლებაზე ლაპარაკი სასაცილოა. ამიტომ საჭიროა, რომ კრებას არ დაესწროს პოლიცია, ჟანდარმები და საზოგადოდ ადმინისტრაცია. ამის მოთხოვნა უფრო საჭიროა, დამფუძნებელ კრების მოწვევის წინ, თორემ ხალხი უმეტეს ნაწილად დაშინებულია, გაუბედავია და პოლიციელთან ვერ გაბედავს გულახდილად ლაპარაკს. განა სოფლის კრებაზე ბოქაულისა და მაზრის უფროსის თანადასწრებით ბევრი გლეხი გაბედავს ხმა-მაღლა და უშიშრად ლაპარაკს? ბევრმა არც კი იცის, რომ ამ კრებაზე პოლიციელს დასწრების ნება არა აქვს, მაგრამ ვინ მოითხოვს ამ კანონის ასრულებას?

დამფუძნებელ კრებაზე დეპუტატების თავისუფლად არჩევა და თავის ინტერესების დაცვა ხალხს მხოლოდ მაშინ შეუძლიან, როცა მოიპოვებს ყველა ზემოხსენებულ თავისუფლებას. სანამ ხალხს არ მიეცემა **სიტყვისა, წერისა, კრებებისა, კავშირებისა და სინიდისის თავისუფლება;** სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება **პიროვნებისა და ბინის ხელუხლებლობა** და სანამ **პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ რწმენისთვის დასჯილნი** განთავისუფლებულ არ იქნებიან,—მანამდის დამფუძნებელი კრება ვერ გამოხატავს ხალ- [illegible] უნაყოფო იქნება.

[illegible] დამფუძნებელ კრებას მოწვევამდე [illegible]ს უნდა მიეცეს სრული თავისუფლება, უამისოდ კი ამ კრებას მშრომელ ხალხისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. შემდეგ წერილში მოვილაპარაკოთ არჩევნების წესსა და არჩევნების მოხდენის შესახებ.

Д.

„დონ-კიხოტი“ და მისი 300 წლის დღესასწაული ისპანიაში

წარსულს მაისში 300 წელი შესრულდა, რაც სერვანტესის სახელოვანი წიგნი, პირველად გამოვიდა. არამც თუ ესპანია, სამშობლო სერვანტესისა, არამედ მთელი განათლებული კაცობრიობაც მხურვალედ და გულთბილად შეეგება ამ დღესასწაულს და ურიცხვი წერილი უძღვნა ამ მუდამჟამს ახალსა და უკვდავს თხზულებას. თითქმის ყველას გაუგონია ან წაუკითხავს რაიმე დონ-კიხოტზე, მაგრამ იშვიათად თუ ვისმე გადაუკითხავს ეს სქელი წიგნი თავიდან ბოლომდე. ვინც ზღაპარივით ჰკითხულობს, მას, ეჭვი არაა, მალე მოსწყინდება, მაგრამ ვინც ეძიებს მასში ღრმა აზრსა და მსოფლიო ზნე-ჩვეულებათა კომედიას, რომელშიაც მთელი კაცობრიობაა გამოყვანილი თავის ნაკლულევანებით და სუსტ მხარეებით, ის რამდენჯერმე გადაიკითხავს მას და დიდის ხალისითაც.

ეს წიგნი მადრიდის აკადემიის წევრმა მარსელინო მენენდეს პელაგიომ მეტად ზედ-მიწევნითა და მკაფიოთ დაახასიათა: „დონ-კიხოტი“ სრული და ჰარმონიული დასურათებაა ისპანიის ეროვნულ ცხოვრების აყვავება-განვითარებისა და მის მომავალ დაქვეითება-დაკნინებისა. მაგრამ ამასთანავე იგი მხიარული ეპოპეაა კაცობრიობის მოდგმისა, უკვდავი ალმანახი დარბაისლურის ოხუნჯობისა, ცხოვრების უღრმეს სიბრძნისა, რომელიც თავისუფალ, ძალ-დაუტანებელ კისკისითა და ირონიულ ღიმილით იმოსება და ფერადდება“.

დონ-კიხოტი თავის მოტყუებისა და უსაზღვრო ფანტაზიის განხორციელებაა. მაგრამ რადგანაც თავის მოტყუება ყველა აღფრთოვანებულ და გატაცებულ ადამიანის თანამგზავრია, ამ სენით შეპყრობილი ადამიანი კი ყოველთვის და ყველგან უთვალავია, დონ-კიხოტი, ეჭვი არ არის, ასე მალე არ დაჰკარგავს მნიშვნელობასა და მომხიბლაობას.

თითქმის ყველა კომედიას სარჩულად ეს თავის-მოტყუება უძევს და ამისათვისაცაა, რომ მისი გმირები სასაცილო მდგომარეობაში ამოჰყოფენ ხოლმე თავსა.

მაგრამ ასეთი სიფართითა და ასეთის ხელოვნებით შეფერადებულსა და დასურათებულს დაცინვას ადამიანის სუსტის მხარისას, როგორც დონ-კიხოტში, ვერსად შეხვდებით. არა-მკითხე რაინდი დონკიხოტი, სევდიანი სახით, ღრმად მორწმუნე, რომ იგი მოწოდებულია საქმეთა საგმიროთა მოსაელინებლად,—ყველა საქმეს დარბაისლურად და მედიდურად ეკიდება. მის ქცევაში დაცინვა და ირონია მეტად თვალსაჩინო შემოქმედებით იმოსება და სავსებით თვალწინ გვიდგება.

მსახური მისი სანჩო პანცა, ანგარების გუდა ყოველსავე ფანტაზიას მოკლებული, დღე-მუდამ ებრძვის და ებუზღუნება თავის ბატონის ფანტასტიურ გაიჰერაობას მაგრამ ვერ გაუბედნია განშორება და მონაწილეა და თანაზიარი მის ოინბაზობაში: მოხიბლულია, მოჯადოებული იმ საარაკო საჩუქრით, რაც დონკიხოტმა აღუთქვა და თითონაც მოტრფიალეა ეხტიალისა და ბედის ძიებისა. დონ-კიხოტი იდეალისტიაო—ამბობენ—და მართლაც, ვითა რაინდი პირ-მტკიცე, პატიოსანი და უშიშარი, იგი იდეალს ეტრფის და ეპოტინება. მისი მოსამსახურე კი მარტოოდენ ხორციელს მოთხოვნილებას ჩაუდგია საგონებელში და მხოლოდ მაშინაა კმაყოფილი, როდესაც რიგიანად გამოისკვნება—თუმცა ასეთი ბედნიერება იშვიათად ესტუმრება ხოლმე.

რამდენი ირონიაა (დაცინვა) ამ ორი ადამიანის ორგვარს, მოწინააღმდეგე მიდრეკილება-მისწრაფებაში!.. ესაა, რომ სერვანტესის თხზულებას უკვდავს [illegible], ხეტიალი და ბედის ძიება მათს დამოკიდებულებას ართულებს, ამრავალფერებს, მათის ცხოვრების ულეველსა და უკლებელს სურათებს თვალ-წინ გვიშლის.

ამ სურათებში ხელოვნურად დახატულია მაშინდელ ისპანიის პროვინციალური, მიყრუებულ სოფლის ცხოვრება. უმთავრესი ღირსებაც ამ თხზულებისა ამაში იხატება. მეცხრამეტე საუკუნემდე არც ერთი წიგნი არ დაწერილა ცხოვრებისა და მის სინამდვილის ასეთის ცოდნითა და შეგნებით, როგორც „დონ-კიხოტი“. დღესაც კი, სამასის წლის შემდეგ, „დონ-კიხოტში“ დასურათებული გმირები არ გვეუცხოება; ყველა წოდებასა და წრეში დღესაც შეხვდებით იმათს ასლსა და პირს: მწყემსები და მეხრეები, მიკიტნები, მათი ცოლები და ასულები, მოგზაური კომედიანტები და დამშეული სტუდენტები, ექიმები და ვექილები, მოხელეები და ურიცხვი თავად-აზნაურობა, დღესაც ჩვეულებურად ფუთფუთებენ ისპანიაში. ყველა ეს ხალხი გზას ულობავს კეთილშობილს, პატიოსანსა და სულგრძელს დონ-კიხოტს, რომელსაც სურს აღგავოს პირისაგან ქვეყანისა მათი სიწამხდრე და უწმაწურობა, და სამაგიეროდ სამართლიანობა დაამყაროს ცოდვილს დედამიწაზე. მაგრამ მისი ყოველივე ცდა უნაყოფოდ რჩება, ყველგან უბრაგუნებენ გამხდარ ზურგზე. დონ-კიხოტი სულგრძელად ითმენს—მისი მსახური, ჩასუქებული სანჩო პანცა კი, რომელსაც ბატონთან ერთად შესთავაზებენ ხოლმე მუჯლუგუნებს, წყევლა-კრულვით იხსენიებს თავის ჭკუა-თხელ ბატონს.

„თქვენმა სულელობამ თავი მომაბეზრა, თქვენი ჭკუა-თხელობის გამო ძვლები მიკვნესის“-ო, ებუზღუნება ის თავის ბატონს, როცა ორივეს კარგად დაუზელავენ გვერდებს. „თქვენ დამთხვეული ხართ, რაინდების ზღაპრები თქვენი შეთითხნილია, თქვენი სასახლეები და შეყვარებული მანდილოსნები ბავშვურ ტიტინზე მდარეა“-ო. მაგრამ, თუ რიგიანად გაძღომის იმედი მოსჩანს, ან დონ-კიხოტი აღუთქვამს, რომ, როცა იქნება, ერთს კუნძულს დავიპყრობ შენთვის, სადაც შენ გაგამეფებო—მაშინათვე დამშვიდდება იგი, ძალღონეს იკრებს, ოცნებას ფრთას ასხამს და ერთგული ძაღლივით მისჩანჩალებს თავის ბატონს.

როდესაც კი სანჩო პანცა მაძღარია, ცემა-ტყეპისგან მოსვენებულია და ძვლები არა სტკივა, მაშინ თავისი ბატონი ბრძნად მიაჩნია და გუნებაში იმეორებს: „ყველაფერი იცის, ყველაფერი ესმის“-ო.

თუმცა ამ წიგნში ურიცხვი ამბავია, ერთმანეთზე თეთრის ძაფით გადაბმული დონ-კიხოტის ცხოვრებიდან, ტანტალიდან და ბედის ძიებიდან, მაგრამ ფასს არ უკარგავს ესა, მისს ღირსებას არ ამცირებს. თვითოეული ამბავი ისეთის უზადო იუმორით არის გადმოცემული, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ბადალს ვერ მოვძებნით.

ჰკითხულობთ ამ წიგნს, ეცნობით ესპანიასა და მის ცხოვრებას და ძალაუნებურად ამჩნევთ, რომ ბევრი ზნე და ხასიათი ამ გმირებისა მეტად ენათესავება და ემსგავსება ქართველთა ზნე-ჩვეულებას. საკვირველია, რომ ქართველი საზოგადოება არ იცნობს ამ წიგნს. მაგრამ, მისი ცნობა კი არა, შესწავლაა საჭირო, განსაკუთრებით ქართველ კალმოსანთათვის. იქ ნახავთ ათას რჩევასა და ცნობას ადამიანის ხასიათისა და ნაკლულევანების შესასწავლად, ნამდვილს და საფუძვლიანს მეთოდს დაკვირვებისას, პატარისა თუ დიდის მოთხრობის გამოკვანძისა და დაბოლოვებისას. „დონ-კიხოტში“ გამოყვანილი ტიპები საქართველოშიაც შეგხვდებათ. წარმოდგენილი მაქვს, რა დიდებული და სახელოვანი თხზულება შეექმნებოდა ქართულს ლიტერატურას, სერვანტესის უნარით რომ აეწერა ვისმე საქართველოს დღევანდელი მხვილფეხა თუ წვრილფეხა დონ-კიხოტები და სანჩო პანცოები.

ქართული სოფელი მდიდარს მასალას წარმოადგენს იუმორიულ მოთხრობებისთვის. იუმორიული მხარე მოთხრობისა დამშვენდებოდა მრავალგვარ ტიპებით. თუმცა ყველას ეცნობება ეს ტიპები, მაგრამ, დ. კლდიაშვილის გარდა, ჯერ არავინ შეცდილა ქართულ ცხოვრების სასაცილო მხარეები ჩვენთვის დაესურათებინა. ჩემის აზრით, ამ მხრივ ფრიად ნაყოფიერი შრომა შესაძლებელია, რადგან ქართველს თვით ბუნებით თანდაყოლილი იუმორი ეტყობა. და ნიჭიერი იუმორისტიც, ეჭვი არ არის, გამოჩნდებოდა და შეჰქმნიდა ღირსეულსა და სახელოვან ნაწარმოებს.

დასასრულ „დონ-კიხოტის“ დღესასწაულის გამო რამდენიმე ცნობა.

ესპანიის დედა-ქალაქ მადრიდში დღესასწაული სახალხო ლექციებით დაიწყეს მაისის პირველ რიცხვებში. ლექციები სერვანტესსა და მის თხზულებას ეხებოდა.

5 მაისს სურათების გამოფენა გაიხსნა, სადაც იყო: „დონ-კიხოტის“ ილუსტრაციები, წიგნიდან ამოღებული სურათები და 461 გამოცემა ამ წიგნისა ესპანიურსა და უცხო ენებზე.

7 მაისს ყვავილთა დღესასწაული გაიმართა.

8 მაისს უნივერსიტეტში დიდებული აქტი იყო, რომელსაც თვით ისპანიის მეფე დაესწრო. მენენდეს პელაიომ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ სერვანტესის ძეგლთან პატრიოტული დემონსტრაცია გაიმართა. ამავე დღეს, საღამოთი დე ტაროსის მოედანზე, თავი მოიყარა პროვინციელ მომღერალთა კავშირების დეპუტაციამ, მრავალრიცხოვან მომღერალთა გუნდით, და პატრიოტული სიმღერები დასძახა. სიმღერების ბოლოს ორი ჰიმნი შეასრულეს: „დიდება ესპანიას“ და „დიდება სერვანტესს“. 9 და 10 მაისს ამგვარივე დღესასწაული იყო აკადემიასა, თეატრებსა და სამეფო სასახლის წინ ფართე მოედანზე. ათასამდე მომღერალი იღებდა მონაწილეობას მომღერალთა გუნდში. სამეფო თეატრში სერვანტესის ერთი კომედია წარმოადგინეს, რის შემდეგაც ცოცხალი სურათები დაიდგა. შემდეგ ესპანიის ჰიმნი იმღერა გუნდმა, რომელიც წარმოადგენდა ამ სამასის წლის განმავლობაში ესპანიის სახელოვან მოღვაწეთა ჯგუფს.

ეს დღესასწაული ერთსა და იმავე დროს ესპანიაში 200 ადგილას გადაიხადეს.

დღესასწაულის დასასრულ, ესპანიის მეფემ აკადემიაში თავისი ხალხის სურვილი გამოაცხადა, რომ სერვანტესს მეორე დიდებული ძეგლი უნდა დაუდგან მადრიდში.

არტურ ლეისტი.

Гукин-елени—2гр.
Сливочное масло—3гр.

მათი გადადება, რომ კრებას წევრთა მეტი რიცხვი დაესწროს.

ისარა.

ხალხის ,,ქომაგები''

ადამიანის ზნეობრივ-გონებრივი დამახინჯება, დაკნინება, მისი სულიერი ავლადიდების სიკოტრე უმთავრესად გამოიხატება მაშინ, როდესაც იგი თავის თავს იქით აღარავისა ხედავს, თავის პირად ,,მე''-ს ვერ გასცილებია და ამაყად კი გაიძახის, ,,მე ვარ და ჩემი ნაბადიო''!

ასეთ ვიწრო, ეგოისტურ ფარგალში მომწყვდეული ადამიანი ებრძვის ყველაფერს, რაც მის ფარგალს გარეშე ხდება, ვინც მის შაბლონურ სასწორ-ადლით არა ზომავს, ვისაც მისებრივი თავი არ აბია...

მას ვერ წარმოუდგენია, ვერ შეუთვისებია ის აზრი, რომ შეიძლება ქვეყანაზე იყოს ისეთი ადამიანი ან ადამიანთა კრებული, რომელიც რომლისამე საქმით იმგვარადვე დაინტერესებული, როგორც ის თითონ, მხოლოდ ამ საქმის განსახორციელებლად სხვა გზით მიდიოდეს, სხვა საშუალებას ეძებდეს, რომელიც, მისის შეხედულებით, უფრო მოკლეა და ხელ-საყრელი.

ამ უკანასკნელთ ზემო-მოყვანილ ჯურის ადამიანი პირდაპირ ბრძოლას უცხადებს, როდესაც ეუბნება: როგორ გაბედე საკუთარ გზის გამოძებნა, საკუთარ აზრის შედგენა! თუ ასე გინდა—ჩემს ფარგალში შემოეჩხირე, ჩემგან შეკერილი ქუდი დაიხურე და ჩემის დროშის ქვეშ გამოდიო! სხვაფრივ არა,—„აკრძალულიაო''!...

ბოგდიხანური განაჩენია, მკითხველო, განა?

ჭკუა-დამჯდარ კაცს მწარე ღიმილი გადაჰკრავს, როდესაც ხედავს, რომ ასეთ სექტანტს, გინდ ასეთ პირთაგან შემდგარ ჯგუფს, რომელიმე საზოგადო საქმე, მაგალითად—ხალხის ქომაგობა—თავის პრივილეგიად გამოუცხადებია, ხოლო თავისი თავი კი—ბელადად!.. ამნაირად შეუდგენია თავის თავზე უშველებელი წარმოდგენა, ფანატიკურად გამსჭვალულა რომელისამე შაბლონურ აზრით და, ასე შეპყრობილ-შეხუთული, თავის უნებურად ერთ წერტილზე გაყინული, ცხოვრებას პროგრამას უწერს და ხალხსაც თავისკენ ეპატიჟება: გინდა თუ არა, ჩემი მცნება ირწმუნე, ჩემ-მიერ ,,ნათელ-იღეო''! და წარმოიდგინეთ ასეთი საოცრება: იგი უკვე დარწმუნებულია, რომ მთელი ხალხი მიეხრო მას, რადგანაც მან ,,მოახერხა'' მის საიდუმლო კუნჭულებში ჩაძრომა და იქ ხელის ფათური!.. იგი დარწმუნებულია ამ თავის საარაკო „მოხერხებაში'' და კმაყოფილად ფიქრობს, ვითომც ყველამ მისი ქუდი დაიხურა და თვალებზედაც ის ბისტი გადაიფარა, რომელიც მას, დიდი ხანია, აფარია!..

დ. ჭოლეველი.

ოთხასნი

(ისტორიული მინიატურა ჩაუსერისა).

ჩვენ ოთხასნი ვიყავით, ის კი ერთად ერთი, და იმ ერთს ვემორჩილებოდით ყველანი. წვერულვაშიანი, მძლავრი ვაჟკაცები ვიყავით ყველანი; ის კი პაწაწა, ჩამომხმარი, აკვნიან ბავშვის მაგვარი, მიგვიძღოდა წინ და თავის ნებაზე გვატარებდა. მარცხნივო!—რომ დაგვიძახებდა, ყველანი მარცხნივ მივიწევდით. ოთხასს კაცს ისე გვათამაშებდა, თითქო ერთი კოჭიაო. ხან აქეთ მიგვაბრუნებდა, ხან იქით, წაგვიყვანდა, დაგვაბრუნებდა, გვასროლინებდა, და ჩვენც ვასრულებდით ყოველს მის ბრძანებას.

მის ბრძანებისამებრ, ხიშტებით ვუხვდებოდით ოლივერის მხედრობას; მის ბრძანებისამებრ, თოფის სროლით ვუხვდებოდით ტორტაქსის *) ჯარს. ერთს ვემორჩილებოდით ოთხასნი და წინააღმდეგობას ვერ ვუბედავდით. წყობისად რომ ვიდექით რაზმად, ყველა ჩვენგანმა იცოდა, რომ მისი მეზობელი—მარჯვნივ, მარცხნივ, წინ თუ უკან—ყველა ბრმად აასრულებდა ბრძანებას. მარჯვნივ გვიბრძანებდა, ერთ კაციეით მარჯვნივ გავბრუნდებოდით ოთხასნივე და, მარცხნივ გვიბრძანებდა, მარცხნივ გავბრუნდებოდით. ყველა ჩვენგანმა იცოდა, რომ ასე მოიქცეოდნენ ყველანი და თითონაც ასე იქცეოდა.

კრომველისა და ტორტაქსის ჯარში ჩვენი ძმები იყვნენ, ჩვენი მეგობრები. მაგრამ გვიბრძანებდა და ჩვენც ვებრძოდით ჩვენს ძმებს, ჩვენს მეგობრებს,—ვესროდით, უკან მივდევდით, ვხოცდით. ბევრს ჩვენგანს უნდოდა პარლამენტის ჯარში ყოფნა, მაგრამ ოთხასნი ვიყავით, ყველა ჩვენგანმა იცოდა, რომ მისი მეზობელი—მარჯვნივ, მარცხნივ, წინ თუ უკან—ყველა ბრმად დაემორჩილებოდა პრინც რობერის ბრძანებას, და ოთხასნივე ბრმად ვემორჩილებოდით ყოველს მის სურვილს.

სამსახურს გარეშე სირცხვილსა ვგრძნობდით. ვდრტვინავდით, ჯამაგირს რად გვიგვიანებენო; ვემდურებოდით რობერს, მეტის-მეტად ულმობელი არისო; ვნატრობდით, ტყვიამ მაინც დაგვიხსნას რობერისაგანაო; ვლოცულობდით, რომ მალე გათავებულიყო ძმათა-შორის ატეხილი ომი; პარლამენტის ჯარების გამარჯვებას ვნატრობდით... მაგრამ, რაკი გავიგებდით საყვირს და დავეწკრივდებოდით მწყობრ რაზმად, სმენად გადავიქცეოდით, რომ სიტყვა არ გამოგვპაროდა მის ბრძანებისა. უსულო, უაზრო საგანივით ვემორჩილებოდით მის ბრძანებას, თუმცა ჩვენ ოთხასნი ვიყავით და ის კი ერთად-ერთი.

ეს იყო 20 ენკენისთვეს, ნიუბერის ახლოს: პარლამენტის ჯარი დაგვეწია. დავდექით, იერიშის მოსაგერებლად შევემზადენით. რობერი ცხენზე იჯდა, და ჩვენ, ოთხასნივე, იმას დავშტერებოდით, გვინდოდა უსიტყოდ მივმხვდარიყავით მის ბრძანებას, მის ტუჩის მოძრაობით შეგვეტყო მისი სურვილი. და როდესაც ბრძანა—ხიშტი მაგათაო! წინ წავიწიეთ და ხიშტები მივაგებეთ ჩვენზე მომავალ პარლამენტის ჯარს.

შევდრკით, დავმარცხდით... და როდესაც ერთმა ჩვენგანმა პირი იბრუნა გასაქცევად, ჩვენც გავბრუნდით ყველანი და გავიქეცით. ბევრი გვიყვირა პრინცმა რობერმა, ბევრი გვეხვეწა, წინაც მოგვიარა დამბაჩით ხელში, მაგრამ ამაოდ ჩაუარა ყოველმა ცდამ,—გავრბოდით, უკან მიხედვას ველარ ვბედავდით, რუებზე ვხტოდით, ტალახში ვცვივდებოდით და კვლავ გავრბოდით, უკანიდან კი გამარჯვებული ძახილი მოგვდევდა.

— გაუმარჯოს პარლამენტს! გაუმარჯოს თავისუფლებასაო!

ღამე ტყეში გავატარეთ, ცალცალკე ყველამ. ჟინჟლავდა, ციოდა. მოგვშივდა, სიცივით ვკანკალებდით. და ყველა ჩვენგანი ამას ფიქრობდა იმ ღამეს,—რას ვიზამ, რომ გათენდება, რა გზას დავადგებიო?

და, რომ გათენდა, ოლივერ კრომველთან მივედით ყველანი, ოთხასნივე ცალ ცალკე, იარაღი მოვიხსენით და დავიძახეთ:

გაუმარჯოს პარლამენტს! გაუმარჯოს თავისუფლებას!

ი. მ.

---

*) ოლივერ კრომველის წინამძღოლობით დაამარცხა ინგლისის პარლამენტმა და მოჰკლა მეფე კარლო პირველი (1649). ტორტაქსი პარლამენტის ჯარების მხედართ-მთავარი იყო.

რუსეთი

შინაგან საქმეთა მინისტრი **ბულიგინი დიდის ხნით იქმნა დათხოვნილი** დასასვენებლად (რ. ვ.).

◆ რუსეთის მთავრობამ თავის ელჩებს პარიზსა და ვაშინგტონში შემდეგი მოკლე დეპეშა გაუგზავნა: **რუსეთს უნდა გაიგოს ზავის პირობები** (რ.).

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელმწიფეს მოახსენა, ვილნოსა, გროდნოსა, სმორგონსა და მელიტოპოლში **საჭიროა გაძლიერებულ დაცვის წესების შემოღებაო.** ხელმწიფემ თანხმობა განაცხადა (რ. ვ.).

◆ ამიერიდან სახელმწიფოში **წეს-რიგის** დასაცველად ყველა გუბერნატორები და გენერალ-გუბერნატორები **პოლიციის მინისტრს დაექვემდებარებიან** (რ. ვ.).

◆ უმაღლეს ბრძანებით, **მეზღვაურებმა როჟესტვენსკის დამარცხება უნდა იგლოვონ**. მეზღვაურებს ნება არა აქვთ თეატრებსა და კაფეშანტანებში იარონ (რ.).

◆ „მოსკ. ნედ.“ ის პირველი ნომერი **ცენზურამ დაიჭირა.** მეორე და მესამე ნომრები დაიბეჭდა, მაგრამ ცენზურამ ეს ნომრებიც დაიჭირა. ამ გაზეთის რედაქტორი, ცნობილი პროფესორი ს. ტრუბეცკოი, სამართალში იქმნა მიცემული. ტრუბეცკოიმ შეაჩერა თავის გაზეთის გამოცემა (რ.).

◆ ინჟენერთა კავშირმა შეიმუშავა საერთო პლატფორმა და, სხვათა შორის, დაადგინა: დამფუძნებელ კრებაზე მოვითხოვოთ, რომ **კავკასიას, პოლონეთს, ლიტვასა და სხ. მიეცეთ ავტონომია**, იმ პირობით კი, რომ რუსეთის მთლიანობა დაცულ იქმნასო. ავტონომია ზემოხსენებულ ქვეყნებისა უნდა განხორციელდეს მათის წარმომადგენლების დადგენილებით (პ.).

◆ 23 მაისს ვარშავაში **მოჰკლეს პოლიციელი.** მკვლელი მიიმალა (პ.).

◆ ლოძში 19 მაისს, შუადღეს, უბნის ზედამხედველს პოლკოვსკის თავს დაეცა რამდენიმე კაცი. **პოლკოვსკი მოკლულ იქმნა**. მკვლელნი მიიმალნენ (პ.).

◆ 26 მაისს სლევნიკაში ხუთის ტყვიით **მოკლულ იქმნა უბნის ზედამხედველი** სოლოდუხინი. მკვლელი მიიმალა (პ.).

◆ მიტავაში 15 მაისს **მოჰკლეს ურიადნიკი.** მკვლელი მიიმალა (რ. ვ.).

◆ ვარშავაში 25 მაისს **მოჰკლეს პოლიციელი.** მკვლელი მიიმალა (პ.).

◆ დონის როსტოვში 23 მაისს **მოჰკლეს პოლიციელი.** მკვლელს აღმოაჩნდა სია იმ პოლიციელებისა, რომლებსაც სიკვდილი ჰქონდათ გადაწყვეტილი (ს. ო.).

◆ ალექსანდროვსკის მაზრაში გლეხები ჰღელავენ რუსეთის ფლოტის განადგურების გამო. **გლეხები ყველა უბედურებას აფიცრებსა და გენერლებს აბრალებენ** (რ. ვ.).

◆ კავშირთა კავშირმა დაადგინა: მთელს რუსეთს ვურჩიოთ, რომ თავის დასაცველად შეერთდნენ; სამართალში პოლიტიკურ „დამნაშავეთა“ შესახებ ჩვენება არ მისცენ; **გამართონ მიტინგები, ბანკეტები, აგიტაცია, დემონსტრაციები, შეერთდნენ, შეკავშირდნენ და საერთო ძალღონით მოიპოვონ პოლიტიკური თავისუფლება** (რ. ს.).

ბიბლიოგრაფია

Г. Ф. Чурсинъ Народные обычаи и вѣрованія Кахетіи, 1905 г.

ჩვენ ძალიან ნაკლებად ვიცით, თუ როგორი იყო საქართველო იმ დრომდის, სანამ მასში გავრცელდებოდა ქრისტიანობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ ნათელი წარმოდგენა არა გვაქვს კერპთ-მსახურების დროინდელ საქართველოზე, მის სულიერსა და ნივთიერ ცხოვრებაზე. ამის მიზეზი კერპთ-მსახურების დროის საქართველოს შესახები წყაროების უქონლობაა: ჩვენ არ მოგვეძებნება არავითარი სალიტერატურო ცნობები ქრისტიანობის წინადროის კულტურის შესახებ, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ აქა-იქ უძველეს მეისტორიეთა და მწერალთა ნაწერებში გაფანტულ ცნობებს.

მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, საქართველოს ძველი კულტურის კვლევა-ძიების საქმე თანდათან წინ მიდის იმ ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ შრომათა წყალობით, რომლებიც ძველი კულტურის შესწავლის საუკეთესო საშუალებად ითვლება. სწორედ ამ მხრით არის საყურადღებო ბ. ჩურსინის ახლახან გამოსული წიგნაკიც, რომლის სათაური ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ. ეს შრომა წარმოადგენს კახელების რწმენათა და ზნე-ჩვეულებათა სურათს სარწმუნოებრივის და ყოფა-ცხოვრების მხრით. წიგნაკის პირველსავე გვერდზე ავტორი ასე აგვიწერს თავისი შრომის ხასიათს.

„კახეთში მოგზაურობის დროს 1903 წელს, ავტორმა ცოტათი შეავსო უკვე დაბეჭდილი ეთნოგრაფიული ცნობები, მაგრამ, სამწუხაროდ, შეკრებილი მასალა არა კმარა, რომ თანამედროვე კახელის სარწმუნოებრივ შეხედულებათა განვითარების ყოველ მხარეს ნათელი მოჰფინოს“.

კახეთში შენიშნულ რწმენათა და ზნე-ჩვეულებათა წარმოშობისა და მათი პირვანდელ აზრის ასახსნელად ავტორს სასარგებლოდ უცვნია მათი შედარება კავკასიის სხვა ერებში შენიშნულ ფაქტებთან. ამგვარმა შედარებამ დამარწმუნაო, ამბობს ავტორი, რომ ერთნაირ პირობებში ჩაყენებულ სხვადასხვა ერში ხშირად ერთი და იგივე შეხედულება, რწმენა და ჩვეულება ჩნდებაო. ამნაირად შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა მსგავსება თავისთავად ჯერ კიდევ არ არის არც ორ ეროვნების ნათესაობისა, არც მათის ერთი მეორეზე გავლენის დამამტკიცებელი საბუთი. ორის ანუ რამდენისამე ეროვნების ნათესაობას მოასწავებს მხოლოდ იმ შეხედულებათა და რწმენათა მსგავსება, რომლებიც გაჩენილა იმ ეპოქაში, როდესაც ესა თუ ის ერი ჯერ კიდევ არ დაშორებოდა საერთო ძირს. ცალკე გასულ ერებს თან წაუღიათ რწმენანი და შეხედულებანი, როგორც მათი წინაპრების სულიერი სამკვიდრებელი. შემდეგში ახალსა და განსაკუთრებულ პირობებში ძმა-ერები ჰქმნიან სულიერ მოღვაწეობის განსხვავებულ ნაყოფს.

ამგვარ წინასიტყვაობის შემდეგ ავტორი, რამდენადაც მასალა ნებას აძლევს, ახასიათებს როგორც კახელების, ისე საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებთა სარწმუნოებრივ და გონებრივ ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს, მათ რწმენათა და ზნე-ჩვეულებათ. ავტორის აზრით, ოჯახური წეს-წყობილება, ბუნების პირობებთან ერთად, წარმოადგენს იმ წრეს, რომლის გავლენის ქვეშ წარმოიშვა და აღმოცენდა სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და უფლებრივი წარმოდგენები და იდეები. კულტის პირვანდელი ფორმების განხილვის დროს ავტორი აღნიშნავს ყველაზე უფრო ბარბაროსულ ჩვეულებას—კაცთა მსხვერპლად შეწირვას ღმერთების მოსამადლიერებლად. ცეცხლის კულტი საქართველოში, ავტორის აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ირანულ გავლენით შექმნილ ფაქტად. ამგვარ თაყვანისცემის ნასახი ექნებოდათ ქართველებს ირანის სარწმუნოებრივ შეხედულებათა გაცნობაზე ბევრად უფრო ადრე, ხოლო სპარსელებს შემოუტანიათ ჩვენში ცეცხლის თაყვანისცემის მხოლოდ უფრო განვითარებული ფორმები და ხელი შეუწყვიათ ამ გზით უკვე არსებულ კულტის დამკვიდრებისათვის.

ავტორი დიდი მადლობის ღირსია ყველას მხრით, ვისაც აინტერესებს საქართველოს წარსულისა და მისი ყოფა-ცხოვრების შესწავლა.

ი. აბულაძე.

კორესპონდენცია

ს. ქურთა. 5 მაისს მოხდა გორის მაზრის სამღვდელოების კრება, რომელსაც დაესწრო 30-მდე მღვდელი თავისი დიაკვნებით. ბევრი ბაასის შემდეგ, სამღვდელოებამ დაადგინა: 1) ხალხი გაჭირვებულია, მას, არამც თუ სამღვდელოების შენახვა, თავისი თავის შენახვის საღსარიც არა აქვს. ამიტომ ვთხოულობთ: დაენიშნოს სამღვდელოებას ჯამაგირი მთავრობისაგან და აღარავითარი გარდასახადი აღარ დაეკისროს მრევლს სამღვდელოების სასარგებლოდ. 2) მიეცეს მედავითნეებს შესაფერი ჯამაგირი. 3) ჩვენ, გორის მაზრის სამღვდელოება, ვხდილობთ წლიწადში ათას თუმანზე მეტს ადგილობრივის სასულიერო სასწავლებლის შესანახად, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ არ შეგვიძლიან გავუწიოთ ანგარიში სასწავლებლის მთავრობას—სად, ან რაზე იხარჯება ეს ფული. მაგალითად: წარსულის წლის თიბათვის თხუთმეტში სამღვდელოების კრებაზე ქ. გორში, როდესაც კრების თავმჯდომარე შეეკითხა სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს, თუ რისთვის მოუმატეთ ექვსი თუმანი ფული ერთ მასწავლებელთაგანს, მან უპასუხა: „შემოტანა თქვენი ვალია, დახარჯვა კი ჩვენი“-ო. ამისათვის ვთხოულობთ: მოისპოს ყოველივე გარდასახადი სამღვდელოების და ეკლესიების მხრით, როგორც სასულიერო სასწავლებლის, ეგრეთვე ეპარქიალურ სასწავლებლებლის შესანახად. 4) 18 წელიწადია, რაც გორის მაზრის სამღვდელოება ხდილობს სასწავლებლის ვალს, რომელიც დაედო შენობის აგების დროს. რადგანაც დღეს სამღვდელოება გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ამისთვის ვთხოულობთ—დაუბრუნდეს სამღვდელოებას გადახდილი ფული მთავრობისაგან. 5) დღეიდან საეკლესიო საბუთების ბლანკებს გზავნიდეს მთავრობა უფასოდ, აგრეთვე აღარ იყოს სავალდებულო ეკლესიებისთვის სასულიერო ჟურნალების გამოწერა. 6) საქართველოს ეკლესია ჩამოშორდეს უწმიდესს სინოდს; იქმნას ამორჩეული კათოლიკოსი. 7) ბლაღოჩინებს ირჩევდეს თვით სამღვდელოება განუსაზღვრელ ვადით. 8) სამღვდელოების დანიშვნა ეკითხებოდეს თვით მრევლსა და საბლაღოჩინო საბჭოს. 9) დაარსდეს საამხანაგო სასამართლო. 10) ვთხოულობთ პენსიის ვადის შემცირებას 25 წლამდე. 11) წირვა-ლოცვა ადგილობრივ ენაზე სრულდებოდეს. 12) დაწესდეს უფასო სავალდებულო პირველ-დაწყებითი სასწავლებლები 16 წლამდის ორივე სქესისათვის, განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისა. 13) დაარსდეს ქალაქ ტფილისში უმაღლესი სასწავლებელი. 14) მოისპოს ბილეთები, რომლებიც ეძლევათ მღვდლებს ბლაღოჩინებისაგან. 15) მოესპოთ ბლაღოჩინებს სინოდის ჯილდო. 16) მოისპოს ყველასათვის უსარგებლო ომი. 17) მოგვეცეს თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, ბეჭდვისა და გაფიცვისა. 18) ხელშეუხებლობა ბინისა და პიროვნებისა დანარჩენ მოთხოვნილებებში ვუერთდებით ხალხის მოთხოვნილებას.

კრების გათავების შემდეგ სამღვდელოებამ გადაიხადა პანაშვიდი სოფელ ტირძნისში აღდგომა დღეს კაზაკებისაგან უწყალოდ დახოცილთა სულისმოსახსენებლად.

კრებას, სამღვდელოების გარდა, დაესწრნენ გარეშე პირნიც.

თაზუნა.

—

ქ. სიღნაღი. დადგა დრო განსჯისა, როდესაც ყველა თავის წარსულ ცხოვრების ანგარიშს აძლევს თვის თავს, იკვლევს, რა იყო იგი აქამდის, თავისუფლებით აღსავსე პირადობა, თუ უბრალო მანქანა, რომელსაც ,,ძლიერნი ამა ქვეყნისა'' თავის სურვილზე ამოძრავებდნენ. რას ემსახურებოდა აქამდის: სიმართლეს, ჭეშმარიტებას—თუ ოქროს კერპებს... და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ სიღნაღის მაზრის მასწავლებლებიც გამოსულიყვნენ სადათას ძილიდან.

,,[illegible] არ ვაპირებდით გაღვიძებას, მაგრამ, როცა ხალხმა გვიფრინა და ,,ოცი'' მოგვესპო,—ამბობდა ერთი,—შეცდომამ შეგვაწუხა და გამოგვაფხიზლაო''.

მოუთმენლად მოველოდით 22 მაისს, რომლისთვისაც დაბარებულნი იყვნენ მთელის სიღნაღის მაზრის მასწავლებლები, როგორც სამრევლო, ისე სამინისტრო სკოლებისა. ამ დღეს უნდა წაკითხულიყო, ტფილისში მასწავლებელთა კრებაზე შემუშავებული რეზოლუცია თავიანთისავე დელეგატის-მიერ. კრება ათი საათისთვის იყო დანიშნული, მაგრამ პირველზედაც ძლივს შეიკრიბა ათი კაცი. წარმოიდგინეთ, მთელის სიღნაღის მაზრიდან, სადაც უკანასკნელი 40 კაცი მაინც იქნება. სულ თორმეტი კაცი ამოსულიყო კრებისთვის. ამათგან ორნი ქაღალდის და ბილიარდის თამაშში გართულიყვნენ და დავიწყებოდათ კიდეც, რომ კრება იყო. ხოლო ათმა კაცმა კი, როგორც იყო, მოიყარა თავი. დიდი თხოვნის შემდეგ, გარეშეთაც ნება დართეს კრებას დასწრებოდნენ. კრება გაიხსნა. თავმჯდომარემ წაიკითხა რეზოლუცია და მასწავლებლებს სთხოვა—ხელი მოაწერეთო.

რეზოლუცია ყველას მოეწონა და მზადაც იყვნენ ხელი მოეწერათ, მაგრამ უკანასკნელი სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა ისეთი ძალიანი გამოდგა, რომ ზოგიერთი დამსწრეთაგანი შიშის ზარმა მოიცვა. იმათ წარმოუდგათ მომავალში შესაზარი სურათები შიმშილ-წყურვილისა, თავისთვის მსხვერპლად შეწირვისა და სხვ. მერე რა იყო ეს სიტყვა—ეს იყო въ ,,ожиданіи чего мы бросаемъ занятія''. აი, რამ ააღელვა ზოგიერთი პედაგოგი, ,,როგორ თუ ,,бросаемъ'', ეს ხომ გაფიცვაა, გაფიცულებს ჯამაგირს აღარ მოგვცემენ, ჩვენ მოთხოვნილებებს ხუთმეტი წელიწადი ვერ დაგვიკმაყოფილებენ და მანამდის ხომ დაილუპა ჩემი ოჯახი, ცოლი, შვილი''. ხოლო როდესაც თავმჯდომარემ განუმარტა კრებას, ისინი ახლავე არ იღებენ ჯამაგირს, რადგან ხალხმა გამორეკა და, ვინც დარჩნენ, იმათაც ასეთივე ბედი მოელით ენკენისთვიდანაო, და გადაჭრით სთქვა: მე ენკენისთვიდან ვიფიცები, რეზოლუციას ხელს ვაწერ და, ვისაც გინდათ, მოაწერეთო, მაშინ ზოგიერთები გარედ გავიდნენ და სხვებმა მოაწერეს ხელი. ეს გარემოება მით უფრო საკვირველი იყო, რომ დამსწრეთაგანნი იყვნენ უფრო უკეთესი და ამორჩეული ელემენტები. აქედან ცხადია, თუ როგორი თანაგრძნობით, მოეკიდებიან დანარჩენნი ,,ხალხის განმანათლებელნი''.

სიღნაღელი ვაჭრები გაზეთითაც კი ,,ვაჭრობენ'' და სამ კაპეკიან ,,ცნობის ფურცელს'' შაურად ყიდიან. იმედია, რედაქცია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და მოსთხოვს თავის კლიენტებს, ისე გაყიდონ ნომრები, როგორც სხვაგან, რადგან ხალხი შეწუხებულია ყოველ-დღე შაურის ხარჯვით. ეს კი საჭიროა, რადგან ხელის-მომწერთ იმავე დღეს არ მოსდით გაზეთი და იძულებულნი არიან იყიდონ.

ხოხია.

ღამის დეპეშები

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან

1 ივნისი.

სიტიაზი, 29 მაისი. ჩინელების სიტყვით, იაპონელები ამ ბოლოს დროს ჩვენს მარცხენა ფრთესთან ძლიერდებიან და თანდათან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ წინ მოიწევენ. ამავე დროს მათი ცენტრი და მარცხენა ფრთე ადგილიდან არ იძვრიან. ეტყობა, იაპონელები წინანდებურად ფიქრობენ ჩვენს მარცხენა ფრთეს გარშემოუარონ და გირინზე წამოვიდნენ. 26 და 27 მაისს დილით იაპონელები ცდილობდნენ გამოედევნათ ჩვენი კორპუსების სადარაჯო რაზმები მარცხენა ფრთეზე. სროლა იყო რამდენსამე საათს, მაგრამ იაპონელები ვერას გახდნენ. ჩვენი ერთი აფიცერი მოკლულია.

გოძიადანი, 30 მაისი. ჩვენს მარცხენა ფრთეზე იაპონელებს წინმსვლელობა დაეტყოთ. 27 მაისს იაპონელებმა მიატოვეს თავისი პოზიცია მდინარე კასხეს ხეობის სამხრეთად მაღლობებზე. ამასთანავე მანდარინის გზის აღმოსავლეთად იაპონელების ორ ბრიგადამდე ხეობით წამოვიდა. ორმა ბატალიონმა 27 მაისს საღამოს ჩვენი სადარაჯო რაზმი მაღლობიდან გადმოაგდო სოფელ გუიუბის ჩრდილოეთად. მანდარინის გზით მოდის სამი ბატალიონი და ორი ესკადრონი სამთო არტილერიითა და ტყვიის მფრქვეველებით. 28 მაისს სროლა აუტეხეს ჩვენს სადარაჯო რაზმებს. იაპონელებმა მაღლობები დაიჭირეს მდინარე კალოხეს ჩრდილოეთად ნანჩენძისა და სენშუს მიდამოებში. ამავე დროს მოწინავე რაზმი, რომელიც იანძილინის უღელ-ტეხილზე იყო,
უკუ-იქცა, რადგან მარ
ევლნენ და ფრონტიდა

ვაშინგტონი, 31
ომის შეწყვეტა მოსალოდ,—
უკანასკნელად არ გადასწ
გაიმართოს მოლაპარაკება
ციალურ წესებში მაინც ფი
მოწინააღმდეგე დრომდის ა
ტი ბრძოლა ასტეხოს. რუს
მარტა კასინისა და ტაკახირა
შეიძლება პირისპირ შეხვდნენ
ნებულნა. ელჩებს ამის შესახ
აქეთ თავთავიანთ მთავრობასთა
ლებით ამბობენ, რომ რწმუ
შეიკრიბებიანო.

ტოკიო, 31 მაისი (სტან
აზრისაა, რომ იაპონიის მოთხ
ზომიერი იქმნება და ყველა
ცობრიობის მოსაწონიო. («დე
რუსებმა ჩრდილოეთში მდინა
წიეს. რუსების ჯარი, რომელ
იყო კავალერიის ოთხი ესკადრო
ზარბაზნით, 28 მაისს ცდილობდა
სიოანისა და სისმიაძის მიდამოებ
თავ-გზა არეული უკუ-იქცა.—
ფო გემი ,,ორიოლი'' დატყვევ
ბუთით, რომ გემზე იყვნენ კაპიტანი
როსი ინგლისის გემის ,,ოლგამიასი''
რუსებმა შეიპყრეს.—,,კოსტრომას''
ნება მიეცა. პორტ-არტურში შეპყრ
,,მონგოლია'' რუსეთს დაბრუნდ

მოჯი, 31 მაისი. „დეილი ტელ
რესპონდენტი და ბარონი ფონ ხანა,
ვიცე-პრეზიდენტი, ადმირალ როჟესტ
ნახავად მისულა სასებოს საზღვაო
ში. ადმირალი ძალიან იტანჯება
საგან, ძალიან კმაყოფილია მოვლ
დღებით, თავზე ჭრილობა უჩნება
ფეხი კი ძალიან აწუხებს, კარგა ხან
ვიდრე სიარულს შესძლებს. ადმირა
დომა ლაპარაკი ომის შესახებ და ის
რომ იაპონიის ფლოტი დიდის ქების
იმავე საავადმყოფოში „კნიაზ სუვორ
ტანი არის, თავში დაჭრილი და ერთ
სა, რომელსაც რუსი ექიმი სწამლობს.

გუნჯულინი, 30 მაისი. ჩინელებ
ბით ბევრი იაპონელი სამშობლოში
ლად დათხოვნილი ყოფილა გაზაფხულ
შაოზე და თვით მარშალი ოიამა თავის
ერთის თვით იაპონიაში წასულა. ეს
მაშინ გამომჟღავნდა, როდესაც ოიამა ომი
დაუბრუნდა.

ათინა, 31 მაისი. დღეს, როდესაც მინისტ
პრეზიდენტი საზოგადოებათა პალატაში მ
ვინმე ჯერაკარისმა დანით დასჭრა სასიკვდილოდ.
ხი მოვიდა და ლინჩის სამართლით ფიდა დასჯ
ქალაქი აღელვებულია. დელიანისი გადაიცვალ

მინსკი. საბჭომ თვისი მწუხარება გა
იმის გამო, რომ ებრაელები საბჭოს თავს
და დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ხალხის
მადგენლები მალე იქმნენ მოწვეულნი.

პარიზი. ჩინელების მრეწველთა კავშირმა ,,ბ
კოტი'' ამერიკელთა ნაწარმოების წინააღმდეგ მ
განაგრძო. პეკინის გაზეთები ამერიკელების
დებებს აღარა ბეჭდავენ.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67$^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	5$^{1}/_{2}$—6$^{3}/_{4}$%
4% სახელმწიფო რენტა	83$^{3}/_{4}$
4^{00}-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4$^{1}/_{2}$% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სააღ.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	376
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	286$^{1}/_{2}$
5% გირ. ფურც. სახ. სააღგ.-მამ. ბანკ.	254$^{1}/_{2}$
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4$^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4$^{1}/_{2}$% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. სააღ.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	191$^{1}/_{4}$
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	—

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია ,,ცოდნა''-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი.	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა.	20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:
შოთა რუსთველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა [illegible] თაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., [illegible] ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.
და სხვა ყოველგვარი წიგნები.
მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.
ხოსიკო მერკვილაძე. (20—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 1 iюнь 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.